

# დემოკრატიული საქართველო

La Géorgie  
Indépendante  
Revue mensuelle  
SEPTEMBRE  
1930—№ 57

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

## შ ი ნ ა ა რ ს ი :

- მეთაური—კავკასიის კონფედერაცია.
- დ. შ.—ამიერ-კავკასიის ფრანტი.
- კავკასიის აჯანყება.
- აჯანყება კავკასიაში.
- ს. ფირცხალავა—ჩვენი მოწინააღმდეგენი.
- «ტრისტან და ინოლდას» ქართული ძირი.

- W.—საბიბლიოგრაფია უენიშენა.
- ვიკ.—ნაცხადი—საქართველ-გეოპოლიტიკისათვის.
- ლი—გ.—საქართველო ციფრებით.
- კ. ვვარჯალაძე—ინგლისი და დომინიონები.
- საქართველოს ამბები.
- ყაზახების ცხოვრებიდან და სხვ.

## კ ა ვ კ ა ს ი ი ს კ ო ნ ფ ე დ ე რ ა ც ი ა

ყოველ დიდ მოვლენას თანა სდევს მისი გაშუქება ცოცხალ ფაქტების სინათლეზე და ჯეროვანი დასკვნის გაკეთება. ავგისტო-სექტემბრის აჯანყება დიდი მოვლენა იყო არა მარტო ჩვენთვის, მეზობლებისთვისაც.—ამიტომ ორი თვეც არ გასულიყო მის შემდეგ (ნოემბერი 1924 წ.), რომ საქართველოს, აზერბეიჯანის და მთის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს კავკასიის კონფედერაციას.

აჯანყება, მიუხედავად მის წარუხტოცელი კვალისა ჩვენი განმათავისუფლებელ ბრძოლის მატრიანში, დამარცხდა, და ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ქართველი ერი განმარტოებული დარჩა. განმეორდა, ასე ვთქვათ, 1919-1921 წ.წ. ტრალიკული ეპიზოდები, როცა მთა, აზერბეიჯანი, სომხეთი და საქართველო ზედი-ზედ და სათითაოთ დაეცენ.

ჯერ პირველათ იმ დროს (ივნისი 1921 წ.), გაკეთდა შესაფერი დასკვნა: ხელი მოაწერეს ოთხივე რესპუბლიკის წარმომადგენლებმა დიდათ მნიშვნელოვან დეკლარაციას, სადაც, გასული სამი წლის მწარე გაკვეთილების მიხედვით, აღიარებულ იქნა გარდაუვალი საჭიროება კავკასიის ერთა «კავშირისა» სამხედრო, საბაჟო და საარბიტრაჟო შეთანხმების ნიადგებდ.

თვით აჯანყების მეორე დღესაც (სექტემბერი 1924 წ.) ისინი, ე. ი. ოთხივე, აქვეყნებენ მეორე დეკლარაციას, რომელსაც კავკასიის «ეკონომიური და პოლიტიკური მთლიანობა» დაედო საფუძვლად.

ამ სამი თარიღიდან სჩანს, რომ კონფედერაციის იდეა თანდათან იკვლევდა გზას: ჯერ კავშირი, მერმე მთლიანობა, ბოლოს კონფედერაცია,—და ისიც იმ რიგათ, რომ უკანასკნელის წარმოთქმა სომხეთის წარმომადგენლებმა არ მოისურვეს მართალია, აქ ვერ ვხედავთ ლოღიკას, მაგრამ არც სომხის ერის თავა-

დასავალი იყო მარტივი. მისი წარმომადგენლები დღესაც «გაერთიანებულ» სომხეთის ნიადგებდ სდგანან და თვალი ჩრდილოეთისაკენ უჭირავთ; კავკასიაში კიდევ ისინი «ჩამონაჭურებს» მოითხოვენ, თუმცა ტერიტორიულ დავის გადაჭრა, მათ მეზობლებთან ერთათ, სავალდებულო არბიტრაჟს დააკისრეს, 1921 წ.

მაგრამ მიმდინარე წელს ძლიერი აჯანყება მოხდა სომხეთსა და აზერბეიჯანში და მით დამტკიცდა, რომ სომხის ერი სხვაგვარ მსჯელობს, ვინემ მისი წარმომადგენლები, იმდენათ სხვაგვარ, რომ სომხები და თათრები მხარი-მხარ იბრძოდენ ერთი და იმავე მტრის წინააღმდეგ.

ეს აჯანყებაც დამარცხდა და კონფედერაციის საკითხი გაორკეცებულ ინტერეს იწვევს კავკასიელ ხელმძღვანელ წრეებში, უცხოეთში. რამდენათ უფრო მწვავეთ გრძობენ კავკასიის ერთა ერთ მებრძოლ ფრონტში დარაზმვის აუცილებლობას, იმდენათ მიმზიდველი და მისასწრაფავი ხდება კონფედერაციის იდეა.

ხლოდ იდეას განსაზღვრა, განვითარება, ჩამოყალიბება ეჭვირება. 1924 წლის შეთანხმებაში ესეც წინდახედული იყო: უნდა შემუშავებულიყო კონფედერაციის კონსტიტუციის პროექტი, ან, ყოველ შემთხვევაში, ძირითადი დებულებები, რომელიც ქვეყნის განთავისუფლების უმაღლეს წარედგინებოდა თვითეულ ერის უზენაეს ორგანოს განსახილველათ.

მაგრამ ჯერ კიდევ მანამდის დიდათ საშური პრაქტიკული ამოცანა გვიდგას წინ კავკასიაში, სადაც ერები ჩაბმული არიან ყოველდღიურ უთანასწორო ბრძოლაში საოკუპაციო ხელისუფლებასთან და ამდენი მსხვერპლიც მიაქვთ თავისუფლების საკუთრთხეველზედ, მოკლებული არიან ყოველგვარ სა-

შუალედს იმსჯელონ კავკასიის მომავალ წყობილებზე. თვითეული ესწრაფვის საქუთარ ქვეყნის დამოუკიდებლობას და არა აქვს ნათელი წარმოდგენა. რა კავშირში უნდა შევიდეს ოთხივე რესპუბლიკა მომავალში. ამას ზედ ერთვის საბჭოთა «ფედერაცია-კავშირის» არსებობა, რომელიც მხოლოდ ურცხვი დაცინვაა ეროვნულ პრობლემის გადაჭრის, და აქედან ერთგვარ უნდაღბლობას იწვევს ადგილობრივ არამართლად ამ ტერმინებისადმი, არამედ კონფედერაციისადმიც. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ კავკასიის ერებს არ უცხოვრიათ წარსულში ერთ პოლიტიკურ ქერს ქვეშ, პირიქით ბევრიც უბრძვიათ ერთი მეორესთან.

ამ რთულ და მძიმე პირობებში უცხოეთში გადმოხვეწილ კავკასიელ მოღვაწეთა უწმინდეს მოვალეობას უნდა შეადგენდეს მიაწოდონ ადგილობრივ ერებს სულიერი საზრდო კავკასიის ეკონომიურ და პოლიტიკურ მთლიანობის იურიდიულ ფორმისა და შინაარსის. თუ გვინდა, რომ კავკასიის ერებმა გააერთიანონ თავისი ძალები, მათ უნდა იცოდინ: რისთვის? მიხანი, როგორც ყველა სხვა მოძრაობაში, აძლიერებს მეტროპოლთა ენერჯიას და ბადებს ადფრთოვანებას. აქედან ცხადია, რომ, დროსა და გარემოების მიხედვით, ეროვნულ ორგანიზაციების გვერდით უნდა გაჩნდეს ადგილობრივ კონფედერატული ორგანიზაციებიც, რომელსაც უნდა ჰქონდეს თავისი პროგრამა და ტაქტიკა.

მაგრამ არც უცხოეთში შეიძლება ამ ქამად უამისოთ მუშაობა. სხვა არ იყოს რა, კავკასიის საქმეებში ჩახედული უცხოელები უნდაობლიათ ეკიდებიან კავკასიელ ერთა თანხმობით ცხოვრებას. საგალალოთ, მაგალითები ბევრი მივეციით მათ ამგვარი ყაღბი აზროვნებისთვის. საჭიროა, მაშასადამე, განახლებული ენერჯიით შევუდგეთ წამხდარ საქმის გამოსწორებას. დროა დავანახოთ უცხოეთს კავკასიის ერთიანი სახეობა, მისწრაფება, ნებისყოფა. ეს არ ნიშნავს თვითეულ ერის სახეობის წაშლას, კონფედერაცია სწორედ და მთუკი დებეთ ერთა კავშირია, მხოლოდ უფრო მუდმივი. უფრო რეგულიარული და აქედან უფრო დასანდობი.

ასეთი ცდები არა ერთხელ ყოფილა და არც უნაყოფოთ, მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა კავკასიის ერთა საერთო დიპლომატიური ორგანიზაცია. ასეთი რამ გვექნა, გვაქვს, მაგრამ ქაღალდზედ, სამწუხართ. და ამის მიზეზი ან ის არის, რაც ზევით ვნახეთ — სომხების ოპიონია კონფედერაციის საკითხში, ან კიდევ უთანხმოება ორ სხვა მეზობელ სექციაში. ჩვენ ვერ მივსცემთ თავს ნებას შევეხლოთ ამ უთანხმოების შინაარსს, მხოლოდ ვიტყვი, რომ იგი არ არის იდეოლოგიური ხასიათის, და გვწამს ჩქარა გადალახული იქნება.

ერთის პირობით, რასაკვირველია — თუ დანტერესებულნი არ აყვებიან თავის გულისტქმას. ზოგიერთი, მაგ., სავაზეთო საგნად ხდის უთანხმოებას და ისე შორსაც კი მიდის, რომ ილაშქრებს არა მარტო თავისიანების, არამედ მეზობელ ერის ხელმძღვანელების წინამდევაც. საინტერესო კიდევ ისაა, რომ ამ ზოგიერთებს ჩვენი ანტიფორმისტიცი უმშვე-

ნებენ მხარს და ქართულ საქმეების მსაჯულად გამოკვავთ ისინი.

სიტყვას არ ვაგრძელებთ. პირიქით ვსწყვეტთ. ჩვენ რომ ამ საბედისწერო ისტორიულ ხანაში ერთმანეთის გაზიარებებს შევუდგეთ, და ისიც უცხოეთში და უცხო ენაზე. ფონს ვერ გავალთ და უზომო ზიანს მივაყენებთ ჩვენს საერთო საქმეს.

მაშასადამე, გავათავოთ იმით. რითაც დავიწყეთ. კონფედერაციის იდეა შობა აჯანყებამ, რომელმაც არ იცის გათიშვა. შუღლი, დავიდარება. ამას არც უცხოეთში უნდა ჰქონდეს ადგილი, ჩვენი ერები არ დავვიმადლებენ. უთანხმოება, აზრთა სხვადასხვაობა ბუნებრივია ყოველ ცოცხალ ორგანიზმისთვის, მაგრამ ამისათვის საჭიროა არაა ეროვნულ და კავკასიურ საზღვრების გადალახვა და მტრების წინ ტილილი...

ჩვენ მოვუწოდებთ ყველას ეროვნულ და კავკასიურ პატრიოტიზმისკენ!

**ამიერ-კავკასიის ფორმტი**

ქვემოდ მოთავსებული მხილება შ. ელიავასი შესახებ გლეხთა მოძრაობისა ამიერ-კავკასიაში დიდმნიშვნელოვან დოკუმენტათ უნდა ჩაითვალოს.

ის ხატავს ზოგად და მთლიან სურათს იმ აჯანყებებისა, რომელთ შესახებ ემიგრანტულ პრესაში ამ უკანასკნელ დროს მრავალი, მაგრამ ნაწილობრივი ცნობები იყო მოთავსებული. კომუნისტურ რუსეთის ოფიციალური წარმომადგენელი არამც თუ სავსებით ადასტურებს ამ აჯანყებებს, არამედ დაუფარავად აღნიშნავს მათს განსაკუთრებულ ხასიათს, იძლევა სწორ დაფასებას ესლახან ამიერკავკასიის რესპუბლიკებში გაჩაღებულ ბრძოლისას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

მის მიერ დახატული სურათი რა თქმა უნდა სრული არ არის; კერძოთ განხრახ დამახინჯებული და შემცირებულია ქართველ გლეხთა ბრძოლა. მაგრამ ელიავა სცნობს, რომ საქართველოში ადგილი აქვს ფართო მოძრაობას. ის არც იმას უმაღავს ამიერკავკასიის კომუნისტურ პარტიის ყრილობას, რომ «გაცილებით უფრო რთულია მდგომარეობა სომხეთში». ხოლო «კიდევ უარესია აზერბაიჯანში». იქაც და აქაც აჯანყებებს საყოველთაო ხასიათი მიუღია, ორივე ქვეყნის ყველა კუთხეებს მოსდებია. ამგვარად, შ. ელიავას ავტორიტეტული მოწმობით, მთელი ამიერკავკასიის გლეხობა დარაზმულა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და მისთვის ნამდვილი საომარი პოლიტიკური ფორმტი გაუმართავს.

ჩვენ აქ არ გამოუდგებით გლეხობის ამ ბრძოლის მიზეზებს, არც შალვა ელიავას მიერ დასმულ კითხვანე პასუხის გაცემას: «დავიბრუნებთ თუ არა გლეხობის ნდობას» ო. მკითხველმა კარგად იცის, რომ ამიერკავკასიის გლეხობასა და რუსულ კომუნიზმს შორის თავიდანვე გარდაუვალი უფსკრული იყო გათხრილი, რომ ეს უფსკრული კიდევ უფრო გააფარ-



თოვა და გააღრმავა რუსეთის უკანასკნელმა ცდამ კავკასიაში გლეხთა კერძო საკუთრების მოსპობისა და გლეხის, ქალაქის მცხოვრებლებით, კომუნისტურ სახელმწიფოს ყმად გადაქცევისა.

ელიავას მხილებაში ჩვენ გვანტერესებს სხვა გარემოება, მისსავე მიერ ხაზგასმით აღნიშნული.

დღეს თურმე «ამიერ-კავკასიის მდგომარეობა მეტისმეტად დაჭიმულია, მეტად მწვავეა, როგორც არ არსებობს ჩვენი კავშირის არც ერთს კუთხეში». და ამ განსაკუთრებულ ამიერ-კავკასიურ გამწვავებას ჰქონია, იმვე ელიავას მოწმობით, საყოველთაო და მთლიანი ხასიათი. ბრძოლა სწარმოებს თურმე იშვიათი ეროვნული და სარწმუნოებრივი სოლიდარობით. საქმე გვაქვს არა მარტო საერთო მიხეზით, მოსკოვის საგლეხო პოლიტიკით, გამოწვეულ ადგილობრივ აჯანყებებთან, არამედ მთლიან მოძრაობასთან, რომელსაც საერთო ლოზუნგები და, თუ ელიავას დაუუჯერებთ, საერთო ხელმძღვანელობა ჰქონია. «კვლავ აღორძინდა—ამბობს ის—«კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი» ისეთი სახით და ისეთი პოლიტიკური ლოზუნგებით, რომლებიც ახწევენ კლასობრივი ბრძოლის უმაღლეს ფორმას». რა არის ის გარემოება, რომელიც მოძრაობას აძლევს «კლასობრივი ბრძოლის უმაღლეს ფორმას»? ეს არის შეთანხმება და დაძმობილება კავკასიის სხვადასხვა სარწმუნოებათა და ეროვნებათა მოსკოვის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ელიავას სიტყვით ამიერ-კავკასიის ერებში კიდევ ჩამოყალიბებულია ეროვნული და რელიგიური სოლიდარობის იდეოლოგია: «არ არსებობს განსხვავება, ამბობენ ისინი: ყურანსა და სახარებას შორის. მართლმადიდებელთა და გრიგორიანთა ეკლესიებს შორის». საქმე იქამდე მისულა რომ თურქთა აჯანყებულებს ხელმძღვანელობს თურმე სომხის მღვდელი, დარალაგიოზის რაიონში სომხები იბრძოდნენ თურქის წინამძღოლთა მეთაურობით, შამქარის რაიონში იმაძმა ერთად დააფიცა შიიტები, სუნიტები, გრიგორიანები და მართლმადიდებელნი». ეს განსაკვივრებელი ფაქტები ოღონდაც რომ შიშს და ძრწოლას გვრის ელიაევებს. ხოლო კავკასიის ერების განთავისუფლების მოტრფიალენი მათ ისტორიულ გარდატეხის მომასწავებლად მიიჩნევენ.

ბოლშევიკები ხშირად იკვებიან რომ მათ ბატონობამ ამიერ-კავკასიაში მოსპოა იქ ეროვნებათა შუილი და მტრობა. ეს მართლდება იმდენად, რამდენადაც მომხდურ ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ლოლია აერთიანებს ამიერ-კავკასიის ერებს და ერთიანი ფორტით უპირისპირებს მათ მტერს. სომხების თურქთა ხელმძღვანელოს მეთაურობით გამოსვლა, ხოლო თურქების სომხებთან შეთანხმებით მოქმედება ჯერ გაუგონარი ამბავია ამიერ-კავკასიის ახალ ისტორიაში. ჩვენ არ გვაქვს საბუთი არ ვიწამოთ ელიავას მოწმობა რომ სომეხ-ქართველ-თურქთა შორის იქედება დღეს შეეგნება გაერთიანებული და შეთანხმებული ბრძოლისა საერთო ინტერესების ნიადაგზე. ელიავას გაცვეთილი ფრაზები ინგლისის და საფრანგეთის, კულაკების და მღვდელ-მოღვინის როლის შესახებ ხომ ჩვეულებრივი ბოლშევიკური

რომანია და მეტი არაფერი. ხალხების პსიქოლოგიაში ამოდენა გარდატეხის მოხდენა შეუძლია მხოლოდ ცხოვრების გაკეთილს, ხანგრძლივ მწარე გამოცდილებას, ბრძოლის ლოლიკას. ჯერ კიდევ არა ერთი და ორი თვის წინააღმდეგობის გაწევა მოუხდებათ კავკასიის ერებს უცხო ძალის წინააღმდეგ. ექვი არაა, ამ მომავალ ბრძოლებში საბოლოო ჩამოყალიბდება და განმტკიცოება ამიერ-კავკასიის ერთა სოლიდარობის შეგნება, რომლის უტყუარ ელემენტებს აღნიშნავდა ელიავა თავის სიტყვაში და რომლის მნიშვნელობა განუზომელია არა მარტო სადღესიო ბრძოლისათვის, არამედ ამიერ-კავკასიის ერთა მომავალი ვითარებისათვის. კავკასიის კონფედერაცია ნიადაგს უზნადებს არა ძველ ტრადიციებზე აფხრდილ იდეოლოგიათა ურთიერთობა, არამედ ყოველდღიურ ბრძოლაში შექმნილი გამოცდილება და სოლიდარობის შეგნება კავკასიის ერებისა. ელიავას მხილება მოწმობს, რომ დღევანდელი მწარე და სისხლიანი სინამდვილე, თანამედროვე ისტორიის შეუბრალებელი მსვლელობა დაუღალავად ამზადებს ამ ნიადაგს.

დ. შ.

კ ა ვ კ ა ს ი ი ს ა ჯ ა ნ ე მ ე ბ ა )

ბევრს ლაპარაკობენ ქურთების აჯანყებაზე, რომელიც ცთობდნენ თურქების ბატონობისაგან განთავისუფლებას, მაგრამ საქმაო ყურადღებას არ აქცევენ კავკასიის ერების აჯანყებას. მართალია კი, საბჭოებმა ყოველი ლოწე იხმარეს, რომ არავითარი გამომხაურება არ ჰქონოდა იმ მძიმე ამბებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა ამ მხარეში. მეტად შესუსტებული და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობები იყო და არავის შეეძლო რაიმე დასკვნის გაკეთება.

დღეს კი, განსაკუთრებით მშვენიერი ქურნალის «პრომეთეს» შემწეობით, რომელიც ფხიზლად ადევნებს თვალყურს ყველაფერს, რაც კავკასიაში შეეხება, ვიცით დაახლოვებით, რაც ხდება იქ, სადაც ბოლშევიკური უღლის საშინელება მეტად მწვავე შეიქნა.

«Journal de Genève»-მ აღნიშნა იენისის თვეში, რა აღეგება გამოიწვია საქართველოში გლეხების ქანების ჩამორთმევამ. სამუსულმანო ნაწილში, აჯანყებულ აქარაში საბჭოთა მთავრობამ უსასტიკეს რეპრესიებს მიმართა და მცხოვრებნი იარალით ხელში შეებრძოლენ ხელისუფლებას.

ადერბეიჯანში უკეთესი მდგომარეობა არაა: სისხლი ღვარივით იღვრება. თვითონ ბოლშევიკები ვერ უარყოფენ მდგომარეობის სიმძიმეს. ისინი იძუ-

\*) წერილი ბ. ედ. შაპიუზასი «Journal de Genève»-ში. ბ. შაპიუზა, შვეიცარიის ამ ფრიად გავლენიან განუთის მთავარი რედაქტორი, ერთი ჩვენი საუკეთესო მეგობართაგანია. ყოველთვის მხნედ, გაბედულად და მხურვალედ იცავს საქართველოს და საერთოდ კავკასიის ერების თვისუფლებას. კავკასიელები არასოდეს დავივიწყებთ მის ამავს.

რ ე დ.



ლებულნი იყვნენ წითელი გენერალ ლევანდოვსკის ალაგას უფრო «ენერგიული» გენერალი დიბენკო დაენიშნათ—მისხვედრია, თუ რას ნიშნავს ეს. გაქცეული ადერბეიჯანელები მიაწყდნენ სპარსეთის საზღვრებს. ადერბეიჯანელებს ემატებიან სომხები, ქართველები, რუსები და გერმანელი კოლონისტები. შეცდომით თუ შიშისა გამო ზოგიერთი განიხილული უკან დააბრუნეს სპარსეთიდან და რასაკვირველია დაუყონებლივ დახვრეტლი იქნენ ბოლშევიკების მიერ. გამოქცეულ ხალხის მოზღვაებამ სპარსეთის მთავრობა უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. ელემენტარული ადამიანობის უქონლობას არა აქვს ადგილი, მაგრამ სპარსეთის მთავრობა მოითხოვს, რომ გამოქცეულებს ვინმე თავდები ყავდეთ და აჯარიმებს, ვისაც საბუთები არა აქვთ. მაგრამ გასაგებია, რომ ვინც სიკვდილს და ტერორს გაურბის, დრო არა აქვს პასპორტზე და ადმინისტრაციულ ფორმალისების შესრულებას იფიქროს.

ამ ვითარებიდან თავის დასახსნევად საჭიროა საერთაშორისო ჩარევა, საერთაშორისო დახმარება. ნუ თუ არ მოგვწდება ნანსენის ძლიერი ხმა იმ ქვეყნიდან?

ნაციათა ლიგას უკვე ეუწყა, რაც ხდება. აგერ ორი თვეა, რაც მიიღო მან ადერბეიჯანის დელეგაციის ახალი მოწოდება. უკანასკნელმა (დელეგაციამ) ლიგის წარსულ საზოგადო კრებასაც გადასცა მოხსენება, სადაც აწერილია ის დევნა და რეჟიმი, რომელსაც განიცდის ეს პატარა რესპუბლიკა. გაუწიეს ანგარიში ამას?

არ შეიძლება ამის დაფარვა: კავკასიის ყველა სახელმწიფო დღეს გაუერთიანდა სომხეთს, მუდმივად წამებულს—ჩვენი თავების სამარცხინოდ. ნურავინ იტყვის, რომ დღეს ს.ს.რ. კავშირში არსებობს კმაყოფილი სომხეთის რესპუბლიკა! ეს სიცრუეა. ეს რესპუბლიკა არის თვალთმაქობა და საბუთები თვითონ აცხადებენ, რომ ეს მათი საქმეა და განაგებენ სომხეთს საკუთარის მეთოდით. ეს მეთოდი კი არსებითად ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებას და კავკასიის ტრადიციებს, რომლებიც აგებულია კერძო ინიციატივასა და საკუთრებაზე.

დატუსალება, სიკვდილით დასჯა ერთი მეორეს მისდევს. სატუსალოები გაქედლია. დიდი ხანი არაა, რომ დახვრიტეს გაუსამართლებლად სამი ყოფილი დეპუტატი. წითელ ჯართან ერთად გეპეუს საგანგებო რაზმები დაიჩინეს სოფლებში ჯავშნიანი ავტომობილებით, არბევენ და სწვავენ ყველაფერს, ხალხს სწამლავენ გაზებით. მაგრამ მკვიდრნი მოჩინებებს არ აცხადებენ. პირიქით იზრდება მათი ერთობა, მტკიცდება წინააღმდეგობა. დღევანდელი გამწარება სქედავს კავკასიელთა კონფედერაციას, რომელიც მისცემს საშუალებას მათ შვილებს ბედნიერება კპოვონ ახალ პოლიტიკურ ორგანიზაციაში. ახერბეიჯანი, ჩრდილო კავკასია, სომხეთი და საქართველო კარგად ჰგრძნობენ, რომ შეერთებულნი ისინი ვაიმარჯვებენ. ყოველ შემთხვევაში მათ უნდა ჰქონდეთ სრული თავისუფლება როგორც უნდათ მოაწყონ თავისი მომავალი. კავკასიის ერებს ყველას აქვთ შეგნება თავის ეროვნების, საკუთარი ისტორიული,

მორალური და მატერიალური ინტერესები, გამსჭვალულნი არიან თავისუფლების უღრმესი სიყვარულით და შეუძლებელია მათი დატოვება მოძალადეთა ხელში. თვით ეს გაკვირვება წარმოშობს მათი დამოუკიდებლობის აღდგენას, რომელიც მოსპო იარაღით რუსეთმა 1920 და 1921 წლებში, მიუხედავად დადებულ ხელშეკრულებისა და გაპრტყელებული განცხადებისა ერთა თვითგამორკვევის შესახებ.

შეუძლებელია ევროპას არ აინტერესებდეს, რაც მის საზღვარზე ხდება. კავკასია ავანპოსტია, სადაც ერთმანეთს ეჯახებიან ცივილიზაცია და ბარბაროსობა. ერებმა, რომლებიც დღეს თავისუფლებით სტკებიახ, უნდა აქტიური თანაგრძობა აღმოუჩინონ იმ ერებს, რომლებიც ამ თავისუფლებას მოიპოვებენ ხვალ, მიუხედავად იმ სიმკაცრისა, რომელსაც დღეს განიცდიან. საჭიროა რომ მთავრობებმა, ნაციათა ლიგამ ბოლოს და ბოლოს გამოიჩინონ თავის ნებისყოფა დანაშაულის მოსასპობად.

**ა ჯ ა ნ ა მ ე ბ ა კ ა ვ კ ა ს ი ა შ ი**

I. ელიავას მოხსენება ამ.-კავკასიის კომ. კრებაზე. (აბაკ. რაბოჩი» 1930 წ. ივნისის 18)

ამ.-კავკასიის მდგომარეობა მეტისმეტად დაქიმულია, მეტად მწვავე, როგორც არ არსებობს ჩვენი კავშირის არც ერთს კუთხეში. როგორია ვითარება ქალაქში? როგორც იცით, აქ მდგომარეობა კარგია, მიუხედავად ბევრი ჩვენი ნაკლისა. ქალაქი ენტუზიაზმითაა გამსჭვალული. მას სწადია აღმშენებლობა, მოითხოვს ხელმძღვანელობას, მუშათა კლასი მთლიანად და სავსებით პარტიასთანაა... როგორია სოფელი? იქ მდგომარეობა ძალზე რთულია, გამწვავებულია.

საქართველოს სოფელი ასე შეიძლება დავახასიათოთ: იგი მოლოდინშია, იცდის. საქმე შეჯახებამდის ჯერ არ მისულა. ანტისაბუთოა გამოსვლები არ ყოფილა, გარდა რამდენიმე ცალკე შემთხვევისა. მძიმე მდგომარეობაა ტფილისის ოლქის თურქულ რაიონებში, საზღვრის სახზე. უკმაყოფილობის მასიურ გამოცხადებას ადგილი ქონდა ბორჩალოს მაზრაში, კახეთში და სხ. ხოლო ამ უკმაყოფილებას, გარდა რამდენიმე უმნიშვნელო გამონაკლისისა, არ მიუღია სახე ანტისაბუთო პოლიტიკურ გამოსვლისა. ამ ადგილებში საქმე აშკარა კონფლიქტამდის არ მისულა. როგორ განვითარდება ეს ლოდინის და მოცდის მდგომარეობა, დავიფიქრებთ თუ არა გლეხობის იმ დიდი ნდობას, რომელიც ნაწილობრივად დაკარგეთ,—ეს ჩვენზეა დამოკიდებული.

გაცილებით უფრო რთულია მდგომარეობა სომხეთში, კერძოთ ისეთ რაიონებში, როგორიცაა ზანგეზურის, ყარაიხის, დელიჯანის და ლორი-ბამბაკის ოლქები. კიდევ უარესია ადერბეიჯანში, სადაც ნამდვილმა აჯანყებამ იფეთქა ნახიჩევანის. ზაქათლის და ნუხის ოლქებში. ყველაფერს ამას მეთაურობენ «კულაკები» და უცხოეთში მყოფი მტრები. დღეს მეტად მწვავე მდგომარეობაა ამავე ზაქათალა ნუხის, ყარაბაღის და ნაწილობრივად განჯის ოლქებში...



საბჭოთა წინამდევ, შეერთდნენ «კულაკები», მღვდლები, მულები, მენშევიკები, დაზნაკელები, მუსავატისტები, იტიპალიტები და სხ. ამას დაერთო სერიოზული მუშაობა. რომელიც სწარმოებს ჩვენს წინამდევ უცხოეთში... მთავარი ორგანიზატორები ჩვენზე თავდასხმისა, რასაკვირველია, ინგლისი და საფრანგეთია... ინგლისი აკეთებს ამ საქმეს მიუხედავად მუშათა პარტიის მთავრობის არსებობისა ინგლისში. ან შეიძლება სწორედ ესეთი მთავრობა ხელს უწყობს ამ მუშაობას და ინგლისის შტაბის მოქმედებას. ინგლისი ცთობლობს საბჭოთა საწინამდევო ბლოკში ჩართვას ოსმალეთიც, მაგრამ ჯერჯერობით ეს ვერ შესძლო...

კვლავ აღორძინდა «კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი» ისეთი სახით და ისეთი პოლიტიკური ღონისძიებით, რომლებიც ახწვევენ კლასობრივი ბრძოლის უმაღლეს ფორმას. არ არსებობს განსხვავება, ამბობენ ისინი: ყურანსა და საბარებას შორის, მართლმადიდებელთა და გრიგორიანთა ეკლესიებს შორის. ამას მოყვა ის, რომ თურქთა ბანდებს ხელმძღვანელობს სომხის მღვდელი. დარაღლაგების რაიონში სომხები იბრძოდნენ თურქის წინამძღოლთა მეფაობით, შამქორის რაიონში იმამმა ერთად დააფიცა შიიტები, სუნიტები, გრიგორიანები და მართლმადიდებელნი...

II.

გან. «დნის» აგვისტოს რიცხვით ატყობინებენ თავრიზიდან: პარტიზანთა მოქმედება ამ-კავკასიაში არ შეჩერებულა. შარურის მხარაში პარტიზანებმა გააჩერეს მატარებელი ჯარით. წითელარმიელებს იარაღი აყარეს, კომუნისტები დახვრიტეს, ხოლო უპარტიონი გაანათვისუფლეს და გააფრთხილეს, კვლავ აღარ გამოილაშქროთ აჯანყებულთა წინამდევ. ტფილისის მახლობლად პარტიზანებმა ლიანდაგი აყარეს და საფოსტო მატარებელი გააჩერეს. მგზავრებს იარაღი ჩამოართვეს. ოცამდე კომუნისტი დახვრიტეს და მიიძალნენ. ლენინაკანში მოულოდნელად შემოვიარდნენ რახმელები და გაიტაცეს იარაღი. ნახიჩევანში მეტად დამძიმებული მდგომარეობაა. პარტიზანებმა «სათადარიგოთა მობილიზაცია» გამოაცხადეს...

პარტიზანთა რახმეები განაგრძობენ მოქმედებას აგრეთვე ყუბანში, თერგის ოლქში და შავი ზღვის პირას. განსაკუთრებით აღსანიშნავია კრანსოდარის, გროზნის, ბატალპაშინისკის და მაიკოპის რაიონები, სადაც ადგილი ჰქონდა რამდენიმე მსხვილ შეტაკებას პარტიზანებსა და წითელ არმიელებს შორის. აჯანყებულთა რახმეებში არიან ყაზახები, ინგუშები, ოსები, თათრები...

გავრცელებულია ხმები—ალბათ ამას ჩადიან პროვოკაციული მიზნით თვითონ ბოლშევიკები—რომ თითქოს უცხოეთიდან დიდძალი ჯარი მოდიოდეს აჯანყებულთა დასახმარებლად. ბოლშევიკებს უნდათ ამით ხალხი გამოიტყუონ და მერმე მუსრის გაავლონ ყველას.

ჩვენნი მოწინააღმდეგენი

რუსის მეტად მრავალრიცხოვანი ემიგრაცია, რომელიც მაინცა და მაინც დიდს აქტივობას ვერ იჩენს თავის ქვეყნის განსათავისუფლებლად ბოლშევიკების უღლისაგან და უფრო რალაც სასწაულმოქმედებაზე ამყარებს თავის იმედებს.—ბოლო დროს არაჩვეულებრივი სიცხველით არკვევს მომავალი რუსეთის მოწყობის გეგმას—პოლიტიკურს, ეკონომიურს, სოციალურს. უკვე ჰფარგლავენ სახლვრებს, ამყარებენ სახელმწიფოებრივ წესწყობილებას, იმუშავებენ ფინანსიურ რეფორმებს, ადგენენ სოციალურ კანონებს, ანაწილებენ ფუნქციებს. საერთოდ ერთსულოვანობა ნაკლებია როგორც პოლიტიკურ ისე სოციალურ საკითხებში, მაგრამ ერთი კი ნათელია: არც ერთს მიმართულებას, არც მარჯვნივ—არც მარცხნივ არაფერი უსწავლია იმდენი გავლილი საშინელი ამბების შემდეგ და დღევანდელი მეტად მწვანე სინამდვილეს წინაშე.

ჩვენ ამ ქაზად გვინდა შევიჩრდეთ ერთ გარემოებაზე: თუ როგორ აქვთ წარმოდგენილი რუსებს ბოლშევიზმის დამხობის შემდეგ თავისი ურთიერთობა არა რუს ერებთან? სამწუხაროთ უნდა ითქვას, რომ არც ერთი პოლიტიკური ჯგუფი უკიდურეს მემარჯვენე მონარქისტულიდან დაწყებული უკიდურეს მემარცხენემდე არ ურიგდება არარუსის ერების თავისუფალ არსებობას და უნდათ, ეს უკანასკნელი ისევ რუსობის ბატონობის ქვეშ ამყოფონ. ყველაზე გაბედულნი მათ შორის რუსეთის ფედერატულად გადაკეთებას იცავენ და დაჩაგრულ ერებს ავტონომიებს ჰპირდებიან. ხოლო ეს ფედერაცია და ავტონომიები მეტად საეჭვო თვისებისაა და უფრო სათვალთმაცხო იარაღი და მახეა.

მეტად საგულისხმეოა მოვლენაა, რომ განსაკუთრებულს სიმკაცრეს და შეუთრებლობას ეროვნულ საკითხში თითქოს რუსის მემარცხენეები—სოციალისტები იჩენენ, რომლებსაც პროგრამაში გარკვევით უწყობიათ ერების სრული თვითგამორკვევის უფლება. რუსის ს.-დემოკრატებმა ამ წლის ნახევრის წინად საქვეყნოდ გამოაცხადეს—მხარს ვუჭერთ ყველა არარუს ერის თავისუფლებას და კერძოდ საქართველოს დამოუკიდებლობა უდავოდ მიიჩნიეს. დღესკი უსირცხვილოთ უკან წაიღეს თავისი განცხადება და ხმამაღლა გაჰკვირან: შეუძლებელია არარუსების განათავისუფლება, ეს რუსეთის დანაწილებას გამოიწვევს და რასაკვირველია ჩვენთვის ბოძებული თავისუფლების «ლრამატაც» ისევ ჩამოგვართვის. სოც.-დემოკრატებს არც რუსის ესერები ჩამორჩებიან, რომელთაც ოდესღაც ცოტაოდენი შეგნება ჰქონდათ ეროვნული საკითხის. დღეს ამათაც გაგონება არ უნდათ, რომ დამონებული ერები გამოეყონ რუსეთს და საკუთარი სახელმწიფოები მოაწყონ. ერთი მათი ფრთა, «დნის» გარშემო შემოკრებილი, სულ იმის ცდაშია, რომ ყოველნაირად ხელი შეუშალოს არა რუსთა განმთავისუფლებელ მუშაობას, მათ შორის მულო ჩამოაგდოს, მათზე ცრუ ხმები გაავრცელოს. ბ. კერენსკი და მისი თანამოაზრენი კრებებზე თუ თავის გამოცემაში მუდამ თავს

ესმინა უკრაინის, კავკასიის, ბელორუსეთის, თურქესტანის განთავისუფლებისთვის გებრძოლთ და განსაკუთრებით ვერ მოუხერხებიათ გულდამწვინებებით ილაპარაკონ საქართველოზე, რომელიც ასე გადაწყვიტა, მხნედ, ერთსულლოვანად იბრძვის თავის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

მერე რატომ ჩავგვიციბიან ასე და ხან მუქარით, ხან ჩაგონებით უნდათ ჩავვაბან ისევ რუსულ ბორკილებში? ცხადია, თავის იმპერიალისტური ზრახვების გამჟღავნება არავის უყვარს და რუსის პოლიტიკოსები იმას კი არ ამბობენ, რომ ჩვენზე გაბატონება თავის საკუთარ სარგებლობისთვის უნდათ. არა, თურმე ჩვენთვის ზრუნავენ. ჩვენი დარდი აქვთ, რომ ხელს არ გვიშვებენ და თავისუფლებაც უარი უნდათ გვატყვევინონ. «თქვენ თვითონ თქვენს თავს ვერ მოუვლითო. განა არ იყავით თავისუფალნი და მუდამ ხან ოსმალებს, ხან გერმანიას, ხან ამერიკას, ხან საფრანგეთს მანდატორობას არ ევედრებოდითო?» გარდა ამისა ქართველებს სადავო საქმეები გაქვთ მეზობლებთან, სომხებთან თუ სხვებთან და როგორ მორიგდებით, თუ ვინმე გარეშემ არ მოგარბიათ!

სწორედ ასე ასაბუთებდენ ოდესღაც მოწილისი და ყმობის დამცველის თავის აზრს: მონები და ყმები რომ განვითავდნენ, ხომ დაიღუპებიან, თავს როგორ მოუვლიანო? ნუ თუ ჩვენი თავისუფლების მოწინააღმდეგეთ ამავე იარაღით უნდათ გებრძოლონ დღეს? ძალზე ბლაგვია და გამოუსადეგარი ეს იარაღი! შემდეგ ვინ დაამტკიცა, რომ ზოგს ერს შეუძლია მოუაროს თავის თავს და ზოგს არა? და რუსის ერმა დაამტკიცა, რომ უკეთესი მომვლელია თავის თავის, ვიდრე პოლნელი, უკრაინელი, სომეხი, ქართველი? კარგად ჩაუკვირდენ რუსის მოღვაწენი დღევანდელს თავის მდგომარეობას და მერე დაიტრახანონ. სხვებზე უმჯობესნი ვართო. რაც შეეხება იმას, რომ ქართველებს, კავკასიელებს სადავო სამეზობლო საკითხები აქვთ ერთმანეთში, ერთი გვიტხრან: სადაა ერი, რომელსაც მეზობელთან რაიმე დავა არ ჰქონდეს? და თუ არ არის, მაშ ყველამ თავისუფლებაც ხელი უნდა აიღოს? ან ეგებ პატარა ერებს სჩვევიათ ერთმანეთთან უთანხმოება? სამწუხაროთ დიდს ერებს უფრო მეტი ქიშპობა და ბრძოლა აქვთ ერთმანეთში, ვიდრე პატარებს, და კაცობრიობისთვის ეს უფრო დამღუპველია და სახიანო.

დროა, რუსის პოლიტიკური პარტიები და ჯგუფები მიხვდნენ, რომ სამუდამოთ დამარხულია ერთი ერის მეორეს მიერ დამორჩილების ხანა. დროა შეიგნონ და შეითვისონ, რომ ყოველი ერი დიდია თუ პატარა, ერთნაირი მორალური ღირებულებისაა და არ არსებობენ ერები, რომელნიც აღუქურვილინ არიან პრივილეგიურის უფლებით—სხვებზე ბატონობისა, და არ არსებობენ ერებიც, რომლებიც სხვას უნდა დაემონონ და ემსახურონ. მერე ისიც უნდა ისწავლონ იმათ, ვისაც რუსეთის ბედის გამოწყობა სწადიათ, რომ რუსეთმა თვითონვე სამუდამოთ დამარხა ფედერაციის და ავტონომიის დრო: ის რაც, მისაღები იყო ოცდასუთი წლის წინად, მსოფლიო ომამდე, დღეს უკვე სრულიად გამოუსადეგარია. ავტონომია მაშინ მისაღები იყო როგორც საშუალება და საფე-

ხური სრული ეროვნული სახელმწიფოებრივი არსებობისათვის. მაგრამ დღეს გაველილი ბრძოლების და რევოლუციების შემდეგ ფედერაციის და ავტონომიის დროში ოლონდაც რომ ვერავის მოხიბლავს და ამაზე პოლიტიკური გეგმის აგება ტყუილად თავის მოტყვილება იქნება.

განსაკუთრებულის გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ გამოლაშქრებაში ჩვენი და საერთოდ დამონებული ერების წინამდებ მხურვალე მონაწილეობას ღებულობს ვინმე სომეხი ა. ხონდკარიანი, გაზ. «დნის» მუდმივი თანამშრომელი. ისიც შეიარაღებულია რუსის იმპერიალისტების არგუმენტაციით, ჰკისრულობს მეტად არა მოსაწონს სამსახურს და მოურიდებლად ამტკიცებს, რომ არც სომხეთს, არც საქართველოს, არც ადგილობრივებს და არც კავკასიას შეერთებულად დამოუკიდებელი, თავისუფალი არსებობა არ შეუძლიათ და უთუოდ რუსეთის მორჩილი უნდა გახდნენ. ბ. ხონდკარიანი იმეორებს მეტად გაცვეთილ საბუთებს, ხოლო როგორც სომეხი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სომხები და ქართველები ერთმანეთში ვერ მორიგებულანო. ჩვენ, როგორც ქართველი, სრულებით ვადასტურებთ ამ დავას. მაგრამ ვიმეორებთ, რომ ასეთ მოვლენას მარტო ჩვენს ურთიერთობაში არა აქვს ადგილი და ამ ორს მონათესავე ერს არ ამოუწურავთ ყოველი საშუალება ერთმანეთთან მოსარბებლად და როცა ამის შესაძლებლობა მიეცემათ მათ, დარწმუნებულნი ვართ, ისინი თვითონ უფრო მშვიდობიანად და მტკიცედ მორიგდებიან, ვიდრე ამას შესძლებს ვისიმე გარეშეს ძალდატანება. ბ. ხონდკარიანი მეორე წერილში თავგამოდებით იცავს ქურთების ბრძოლას განთავისუფლებისათვის (ამ შემთხვევაში ჩვენ სახვებით მასთან ვართ და სრულიად ვიზიარებთ მის სურვილს) და თვითონვე აღნიშნავს საკითხის სირთულეს—ქურთები ოსმალების გარდა სპარსეთში, ირაკში, სირიაში და რუსეთშიც ცხოვრობენ და ეს საქმეს უთუოდ გააძნელებს—მაგრამ განა სომხეთს, საქართველოს ნაკლებად სჭირიათ თავისუფლება, განა ნაკლები უნარი აქვთ საკუთარი ცხოვრების რატომ ქურთები უნდა განთავისუფლდნენ და ჩვენ არა?

ბ. ხონდკარიანი ცუდი სომეხია, როცა უარყოფს სომხეთის განთავისუფლებას. ჩვენ გვესმის კარგად სომხეთის დღევანდელი განსაკუთრებული მდგომარეობა, მისი მძიმე პირობები. ხოლო შეიცვლებიან ეს პირობები და თავისუფალი სომხეთის სახელმწიფო ყველანაშ უკეთ დააკმაყოფილებს სომხის ერის საარსებო ინტერესებს და თავის მეზობლებთანაც გამანახავს სათანამშრომლო ენას. ბ. ხონდკარიანი ცუდს სამსახურს უწევს თავის ერის და მის მეზობელ საქართველოს ურთიერთობასაც, როცა ილაშქრებს იმ დამოუკიდებლობის წინამდებ, რომელიც ერთსულოვანი მოთხოვნილებაა მთელი ქართველობის, რომლისთვის ამდენი მსხვერპლია შეწირული, ამდენი სისხლია დაღვრილი და დღესაც იღვრება...

ს. ფირცხაღავა.



მიდგომის ანოთიზა ცხელ-ტროსკისე იაუდოლო  
დგენი-ცხელ-ტროსკისე

გახ. «კომუნ.» 21 ავგისტოს ნომერში დაბეჭდილია ვინმე ვასტევის წერილი თურქეთის «ახალი» პოლიტიკის შესახებ ამ სათაურით «ქემალისტების პოლიტიკური გაორება». ავტორი ეხება ახალი პარტიის გაჩენას, აღნიშნავს ოსმალეთის დიდს დავალიანებას, ეკონომიურ გაქირვებას, ლირის დაცემას და ფინანსიურ კრიზისს, რასაც ხელი შეუწყო ქურთების აჯანყებამაც. შემდეგ ამბობს, რომ ქემალისტები იძულებულნი გახდნენ მოლაპარაკება დაეწყათო უცხოელ კაპიტალისტებთან 30-40 მილ. ლირის სესხის აღებისათვის. «სანამ სესხზე ლაპარაკს დაიწყებდენ, უცხოელმა ფინანსისტებმა მიაღწიეს იმას, რომ მიიღეს ანგორის თანხმობა «ექსპერტის» გაგზავნაზე თურქეთში, ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის გამოსაკვლევად და საფინანსო სისტემის «გაჯანსაღებისა» და რეორგანიზაციის გეგმის შესამუშავებლად. ახლად მოვლენილ ახლო აღმოსავლეთის დაუესის რაღში ჩავიდა ოტომანთა ბანკის დირექტორი რისტი. იენისის დამოუვს, მთავრობის წევრებთან მთელრიგ თათბირების შემდეგ, ის გაემგზავრა ანგორიდან... სხვადასხვა ცნობებიდან ირკვევა, რომ მსოფლიო ბანკიერები სესხის მიცემის პირობად აყენებენ თურქეთის მთელი სახალხო მეთურნობის «გაჯანსაღებას» (ფრჩილები ყველგან «კომუნისტისა») უცხოეთის ექსპერტების მონაწილეობით და ამასთან ერთად მოითხოვენ «გარანტიებს» იმ ვალდებულებების შესასრულებლად, რომელიც ამასთან დაკავშირებით უნდა იკისროს თურქეთმა».

„ტრისტან და იზოლდას“

ჰართული ძირი

გახ. «ტან»-ის სექტემბრის მ-ის ნომერში დაბეჭდილია Jean Leune-ის მეტად საყურადღებო წერილი დასავლეთ ევროპის საშუალო საუკუნოების განტქმული მოთხრობის «ტრისტან და იზოლდას» წარმომოხების შესახებ. მისი დასაბამი დიდი ხანია აინტერესებს ევროპის მეცნიერთ, მაგრამ მოთხრობის მრავალი მოვლენა დღემდის გაურკვეველი დარჩა. პირველი დაწერილი «ტრისტან და იზოლდა» ჩნდება მეთორმეტე საუკუნეში სხვადასხვა ენებზე. მაგრამ ზეპირი მოთხრობა არსებობდა გაცილებებით ადრე ბრეტანელთა შორის. Jean Leune ეყარება პრაფ. მარის გამოკვლევებს და ფიქრობს, რომ «ვისრამიანის» და «ტრისტან და იზოლდას» (რომელთა ახლობელი ნათესავობა ავტორს უდავოდ მიაჩნია) ძირი უნდა ვეძიოთ საქართველოში, ქართულ ენაში, ცხვრებაში. «ტრისტან და იზოლდას» შინაარსი ეკუთვნის ძალიან შორეულ დროს. შიგ ჩაქსოვილი მცნებანი, ჩვეულებანი, სახელები კპოულობენ ახსნას მხოლოდ ქართულში.

ბ. Leune-ი მიმართავს ევროპის მწერლობის მკვლევართ შეისწავლონ «ტრისტან და იზოლდა» ამ მხრივ და გადასინჯონ წინანდელი შეხედულობანი.

«დიდი ხანი არაა, სწერს იგი: გვასწავლიდენ, რომ ტროის ომის ამბავი ზოგიერთი პოეტის ოცნების შეთხზული ზღაპარი არისო. მაგრამ ხეთების ნაწერების წაკითხვამ გავალა ტროის საიდუმლოება, და ვნახეთ, რომ ტროის ამბებში გამოგონილი სრულებით არაფერია...»

«რადგან ჩვენი ისტორიკოსები ფიქრობენ, რომ ძველი ისტორია უნდა გადასინჯლო იქნეს ხეთების ცნობების მიხედვით, რაღომ არაა შესაძლებელი, რომ ასევე გადასინჯული იქნეს ჩვენი აზრები და მსჯელობანი ლიტერატურულ ნაწარმოებთა შესახებ იმ მასალების გაშუქებით, რომელსაც გვაძლევს ისეთი ენების შესწავლა, როგორცაა ქართული და სხვა აგრეწოდებული იაფეტური ენები. ამ ენებმა საბედნიეროდ დღემდის დაიცვეს მეტად შორეული წარსულის ნაშთები და ამიტომ პირველხარისხიანი მნიშვნელობა აქვთ.»

საბიბლიოგრაფიკი უანიშნა

ჩვენ მივიღეთ მთიელთა სახალხო პარტიის ბიულეტენი ფრანგულ ენაზე «Des montagnards du Caucase». ეს პარტია რამდენიმე ხანია რუსულად ბეჭდავს დროგამოშვებითს გამოცემას «გორცი კავკაზა». ახლა განუზრახავს ფრანგულ მკითხველებსაც მიაწოდოს ცნობები. განზრახვა ფრიად მოსაწონია და დროის შესაფერისი. ბიულეტენი თავდაპირველად არკვევს კავკასიელთა რასიულს ნათესაობას და მათ ენების დანაწილებას რამდენსამე შტოდ. თან ეხება კერძოდ მთიელთ და აღრიცხავს მათ რიცხვს სამ მილიონამდე; ამას უნდა მივუმატოთ აგრეთვე მილიონ ნახევარი, ოსმალეთში გადასახლებულთა.

შემდეგ მოთხრობილია მოკლედ მთიელთა ისტორია, თუმცა ძალიან სუსტად, ბუნდოვანად. უნდა ითქვას, რომ მთიელთა ისტორიის დაწერა საქირო მასალების უქონლობისა გამო მეტად სძინელო საქმეა. კარგად დალაგებოთაა ნაამბობი მე-19 საუკ. ამბები, შამილის გმირული ბრძოლა.

ამას მოყვება, რაც მოხდა 1917 წ. რევოლუციის შემდეგ: მთიელების მიერ ჯერ ავტონომიის გამოცხადება, მერე სრული დამოუკიდებლობის; მხნე ბრძოლა როგორც თეთრების ისე ბოლშევიკების წინამდევ თავის თავისუფლების დასაცავად; მთიელთა მდგომარეობა ბოლშევიკების ხელში.

ბიულეტენი თავდება იმით, რომ მიმართავს კავკასიის ყველა ერს და ურჩევს მათ, დაივიწყონ წინანდელი შეცდომები და დღეს მუიდროთ შეერთდნენ, რათა მხოლოდ ერთად შეუძლოთ აღიდგინონ თავიანთი დამოუკიდებლობა.

ჩვენ საქიროდ მიგვაჩნია მკითხველის ყურადღება მივაქციოთ შემდეგს სამწუხარო გარემოებას: ბიულეტენი რომ ისტორიას გვიამბობს და უმთავრესად მთიელთა მეზობლებზე თავდასხმას აღნიშნავს, ნაამბობია რამდენიმე ასეთი შემოსევა საქართველოში და ისეთ შთაბეჭდილებას იღებთ, თითქმის საქართველო მეტად უძლიერი და ბეჩავი იყო. მერე ერთ ად-

გილას ასეა ნათქვამი: «საქართველო თავის არსებობის დაწყებიდანვე აწარმოებდა ისეთს პოლიტიკას, რომელიც შეუფერებელი და დამღუპველი იყო მისი ინტერესებისთვის». რასაკვირველია ჩვენს წარსულში, როგორც ყოველი ერის წარსულში, ყველაფერი კარგად არ იყო. მაგრამ თუ საქართველო ასეთ ცუდს გზას ადგა, როგორ მოხდა, რომ საქართველომ მთელ კავკასიაში შექმნა საუკეთესო კულტურა, ლიტერატურა, ხელოვნება, რომ იგი ყოველთვის პირველი იყო და ვფიქრობთ დღესაც არაა უკანასკნელი რიგში?

სამწუხაროა უფრო კიდევ ის, რომ ბიულეტენს

### კავკასიის გეოპოლიტიკისათვის

(ბრძოლა ნავთის გამო)

4.

ბლშვეიკების დაცემის მოლოდინში, კავკასიის სანავთო მრეწველობის აქციები ევროპის ბაზარზე ხელიდან ხელში გადადიოდა. დაინტერესებული სანავთო კომპანიები, «სტანდარდ ოლი», «როიალ-დაჩ-შელი», და სხვანი გაფაციცებით ყიდულობდნენ ბაქო-გროზნის აქციებს; გაიყიდა ნობელის, ჩერმოვის, მანთაშევის, ლიანოზოვის, აცატურაშვილის და სხვათა მრავალი აქცია. იწერებოდა და იკვრებოდა ხელშეკრულებანი, იქმნებოდა სხვადასხვა კომბინაციები. შეიქმნა ახალი ინტერესები, ძლიერი ინტერესები კავკასიის ნავთის გარშემო, და გაიმართა ბრძოლა სანავთო ფრონტზე. ეს ბრძოლა გრძელი, რთული და მრავალმხრივანია. დაწერილებით მის შესახებ სიტყვა ვერ გავაგრძელებთ, მაგრამ მას საერთოდ მაინც უნდა შევეხეთ.

5.

პირველი დიდი ბრძოლა ნავთის საკითხის გარშემო გაიმართა გენოას კონფერენციაზე, სადაც პირველად გამოჩნდა რუსეთი ევროპიულ სახელმწიფოთა გვერდით.

ნავთის საკითხით დაინტერესებული სახელმწიფოები სხვადასხვა გზით შეხვდნენ ამ საკითხს. ინგლისი შეეცადა რუსეთთან პრინციპიალურად გამოერკვია საკითხი და მას იურიდიული ხასიათი მისცა. დაისვა საკითხი რუსეთში ჩამორთმეულ უცხოელების საკუთრების კომპენსაციის, ანაზღაურების შესახებ; ეს იყო დათმობა, რომელიც ინგლისმა მოახდინა, რადგან აქამდე საკუთრების დაბრუნებას მოითხოვდა ინგლისის უქურდა მხარს იტალია. საფრანგეთი და ბელგია კი მოითხოვდნენ საკუთრების დაბრუნებას. ამ საკითხის გარშემო სწარმოებდა ბრძოლა, და ამ ბრძოლის არაოფიციალური მეთვალყურე იყო შეერთებული შტატების წარმომადგენელი. ამავე დროს კულისებში გაცხარებული მოლაპარაკება იყო კავკასიის ნავთის შესახებ, და პუანკარე სწერდა თავის ინსტრუქციაში საფრანგეთის დელეგატს ბარტუს, შემდეგ:

«ექსპერტთა შორის მოლაპარაკებათა დროს

დართული აქვს ქარტა, სადაც «მთიელთა სამხრეთის საზღვარი» იწყება ანაკლიიდან შავ ზღვაზე, მიყვება ინგურს, ანის ცოტა ზევით დაემყვება გორის მხარაში და გორის ცოტა მოშორებით მისდევს საქართველოს სამხედრო გზას.

ჩვენ გვინახავს გეოგრაფიული ქარტები ადერბეიჯანელების და სომხების გამოცემული. სადაც ჩვენი ქვეყნის დიდი ნაწილი ან ადერბეიჯანშია ან სომხეთში. ახლა მთიელთა ბიულეტენიც სადავოდ გვიხდის ჩვენი მიწა-წყლის მესამედს.

მეზობლებო, არ ვარგა ასეთი პოლიტიკა!

W.

ლონდონში, კავკასიის ნავთის საკითხი არ გარჩეულა. როდესაც რუსეთის მთავრობამ სურვილი გამოსთქვა ნება ჰქონოდა თან წამოეყვანა, ფაქტიურად მისი მუშტით შექმნილ საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობათა დელეგატები, მოკავშირეები წინააღმდეგი იყვნენ და ამას ასაბუთებდნენ. კანში მიღებულ გადაწყვეტილებით, რომლის მიხედვით კონფერენციაზე დასწრება განსაზღვრული იყო კავკასიიდან ჩრდილოეთით მყოფ მხარეებით. სხვათა შორის ჩვენს მიერ დე-იურეთ აღიარებული საქართველოს მთავრობაც არ იქნა დაშვებული. ეს საკითხი ირჩევა სახელმწიფოთა წარმომადგენლებსა და ქართულ დე-ფაქტო ესლანდელ მთავრობას შორის, რომელმაც გამოაგდო წესიერი მთავრობა საქართველოდან. აზერბაიჯანისათვის მდგომარეობა სხვაა, ვინაიდან იგი მოკავშირეების მიერ არასოდეს დე-იურედ ცნობილი არ ყოფილა. საერთოდ, ილუზია იქნებოდა გვეფიქრა, რომ რუსეთის ნავთის საკითხის გადაწყვეტა შეიძლება, ისე, რომ შეერთებული შტატები არ იყვნენ წარმოდგენილი. თქვენ მაინც ყურადღება მიაქციეთ, თუ რა შეიძლება მოხდეს რუსეთსა და სხვა სახელმწიფოთა შორის ამ მხრივ, და იმ შემთხვევაში, თუ დაინახათ, რომ საფრანგეთის ინტერესებს რაიმე დამუქრება, მთავრობას შეატყობინეთ»-ო.

ასეთი გარჯა ბნ ბარტუს აღარ დაქირვებია, რადგან კონფერენციას დაადო ხელი ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა, რომელიც საფრანგეთ-ბელგიის თვალსაზრისზე დადგა. და გენოას კონფერენცია ჩაიშალა.

6.

გაგრძელება მოხდა ჰააგის კონფერენციაზე. სადაც არა მარტო დიპლომატები შეიყარნენ, არამედ ნავთის წარმომადგენლებიც, ნავთის მაგნატებიც. მაგრამ ეს კონფერენციაც უშედეგოდ ჩაიშალა, რადგან ამერიკის პრეზიდენტ ჰარდინგმა, კონფერენციას აცნობა:

«თვითელი ამერიკელი მოქალაქე, რომელიც შეეცდება შეისყიდოს თუნდა ნაწილობრივდაც,



ქონება არარუსულ, ჰაგაში შეკრებილ სახელმწიფოთა რომელიმე მოქალაქისა, არ უნდა მოელოდეს შეერთებული შტატების მთავრობის მფარველობა-დაცვას», — ასეთი განცხადება, რომელიც მეტად ზრდილს ფორმებშია გამოხატული, ნიშნავდა, რომ შეერთებული შტატები არ იცნობენ არავითარ სანაგეთო ხელშეკრულებას, რომელიც კი რომელიმე სახელმწიფოს მოქალაქეთა მიერ დადებული იქნება საბჭოთა რუსეთთან. ამ წინადადებას ბელგიამ მაშინათვე დაუჭირა მხარი, აგრედვე იტალიამაც, და ამგვარად ჰააგის კონფერენციაც ჩაიშალა, და ლიტვინოვი, რომელიც სანაგეთო ხელშეკრულობაზე ხელის მოსაწერად ემზადებოდა, ხელცარიელი მოსკოვს დაბრუნდა.

7.

ნავთის მაგნატთა კრების გავრცელება მოხდა ლონდონში, სადაც ამერიკელებმაც პირდაპირ მონაწილეობა მიიღეს სანაგეთო საკითხის გადაწყვეტაში. მათ აშკარად წამოაყენეს თავისი ცნობილი დებულება: ღია კარები ყველა ქვეყანაში ყველა წარმოებისათვის, ერთნაირი მოპყრობა ყველა წარმოებას. ეს დიდი პრინციპი, რომლის გულისათვის ამ უკანასკნელ ხანაში, ამერიკა იბრძვის, ჯერ კიდევ მიუღწეველია, მაგრამ ნავთის საკითხში კი ამერიკელებმა შესძლეს ევროპელებთან შეთანხმების გზის გამოჩენა. 1922 წლის, სექტემბრის 22-ს, პარიზში, დეტერდინგის (რომელიც არის უდიდეს ინგლისურ სანაგეთო კომპანიის როიალ-დაჩ-შელის ხელმძღვანელი) თავმჯდომარეობით, დაარსდა საერთაშორისო დამცველი კომიტეტი. ამ კომიტეტის მთავარი მუხლები შემდეგი იყო: 1) არც ერთ წევრს არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი უფლება არა აქვს კონფისკაცია ქმნილი ქონებანი მეორე წევრისა შეიძინოს; 2) ნავთიანი ადგილების ამუშავება შეიძლება მხოლოდ ყველა მონაწილე მხარეთა ანაზღაურებისა ან მათ უფლებათა აღდგენის შემდეგ; 3) არც ერთ წევრს არ შეუძლია ყველა სხვა წევრთა ნებადაურთველად აიღოს კერძო კონცესია იმ ნავთიან ადგილებისა, რომელიც საბჭოთა რუსეთშია; 4) მოლაპარაკებანი საბჭოთა მთავრობასთან უნდა ხდებოდეს საერთოდ და ერთხმად არჩეულ რწმუნებულთა მიერ.

ასეთი იყო ის საერთო ფორმტი, რომელიც საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული.

8.

მაგრამ 1923 წლის მარტში, დეტერდინგმა ხელი მოაწერა როიალ-დაჩ-შელ კომპანიის სახელით საბჭოთა მთავრობის ხელშეკრულებაზე. პარიზში და

ნიუიორკში ამან დიდი ალიაქოთი გამოიწვია, მაგრამ შემდეგში აღმოჩნდა, რომ ეს ხელშეკრულება ეხებოდა მხოლოდ 300.000 ტონა ნავთის შესყიდვას. ფრანგულ-ბელგიურმა სანაგეთო სინდიკატმა ცხარე პროტესტი განაცხადა. ამის საპასუხოდ დეტერდინგმა მათ საქმეში მონაწილეობის წინადადება მისცა. ინგლისის პარლამენტში ყოფილმა ნავთის მეპატრონეებმა შეკითხვა შეატანეს და პროტესტი განაცხადეს, რაზედაც მთავრობამ უპასუხა, რომ იგი კერძო კომპანიათა საქმეებში არ ერევათ. ფრანგულ-ბელგიურ სინდიკატმა, 1923 წლის, ივნისში, ამ საკითხზე პუნკარეს მემორანდუმი მიართვა, რომელშიც ამტკიცებდენ, რომ აღნიშნული ხელშეკრულება ფრანგულ და ბელგიურ ინტერესებს ზიანს აყენებს, და რომ როიალ-დაჩ-შელის ცდა არის მიმართული კავკასიის ნავთის ხელში ჩასაგდებად.

მას შემდეგ არა ერთი და ორი ბრძოლა მომხდარა კავკასიის ნავთის გარშემო, ჩვენ მის ისტორიას ვერ გამოვუდგებით, გრძელი და რთულია იგი; საერთოდ კი შეიძლება შემდეგი ითქვას: საერთო ფორმტი რუსეთის წინააღმდეგ შესცვალა კავკასიის ნავთის გარშემო ატეხილ დავამ და ჯიბრმა სანაგეთო კომპანიებსა და მთავრობებს შორის. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, რუსეთი იგებდა, რომელიც ამ დავას მუდამ სარგებლობდა ხოლმე. ნავთის პოლიტიკოსების მიერ რუსეთისადმი პირის ბრუნებამ ლოლიკურად გამოიწვია კავკასიის ერების ინტერესების მივიწყება და მიჩქმალვა.

და როდესაც 1924 წელს საქართველოში ეროვნული აჯანყება მოხდა, ბევრი და ძალიან ბევრი ამ აჯანყებას სთვლიდა ნავთის ინტერესებით ნაკარნახევ გამოსვლად, რაც, რასაკვირველია, სინამდვილეს არ შეეფერებოდა. ეს მოვლენა, რომ კავკასიის ბედი გადაბმულია ნავთთან, ხელს უშლის კავკასიის ხალხთა ეროვნულ გამათავისუფლებელ ბრძოლას, რადგან, როგორც დავინახეთ, ნავთის ინტერესები უფრო მალა სდგას, ვინემ ხალხთა თავისუფლების ინტერესები. და ეს უკანასკნელი ინტერესები გაიყიდა ერთჯერ კიდევ, როდესაც სანაგეთო კომპანიებმა დეტერდინგის მეთაურობით ნავთის გამოზიდვის შესახებ მოსკოვთან ხელშეკრულება დასდვეს და მიღებულ მოგებიდან ხუთი პროცენტი ნავთიან ადგილთა პატრონებისათვის გადადვეს. ეს ხუთი პროცენტიც უმთავრესად ამავე კომპანიებს ერგება, ვინაიდან კავკასიის ნავთის აქციების დიდი ნაწილი დღეს სტანდარტ-ოილ და როიალ-დაჩ-შელის კომპანიათა ხელშია დაგროვილი, და თხის ნამდვილ პატრონს თხის ნკუდიც აღარ რჩება.

ვიკი, ნოზაძე.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ც ი ზ რ ე ბ ი თ

(გლა ჩვენი ქვეყნის გრძელვადიანი მემკვიდრის მიმდინარეობის)

(გაგრძელება)

20.

მესაქონლეობას ჩვენი ერის ეკონომიკაში ყოველთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი ალაგი ეკავა.

ეს ალაგი სასოფლო მეურნეობის ამ დარგს — დღესაც აქვს შენარჩუნებული, თუმცა 1928 წლიდან მასში იწყობა ერთგვარი დაკნინება, მეტადრე მეტყველებლობაში. უნდა ვიმედოვნოთ, რომ ის სიძნელენი, რომელიც დღეს წინ უდგია მესაქონლეობას, სასუსებოთ იქნება დაძლეული მოსახლეობის და მცოდნე სპეციალისტების ურთიერთის წაქეზებით და დახმარებით.

ჩვენი ახალგაზრდა აგრონომებს და ეკონომისტებს, როგორც მათ უფროს ამხანაგებს, ცხადათა აქვთ გათვალისწინებული, როგორც მესაქონლეობის მნიშვნელობა. ისე მისი სუსტი მხარეებიც. როდესაც ეცნობით მათ დასაბუთებულ მოსაზრებებს და მოხსენებებს, რწმუნდებით, რომ საქართველოს სასოფლო მეურნეობას მართლაც გასჩენია მისი მეთვალყურე, მისი ჭირ-ვარამის მცოდნე სპეციალისტები, რომელნიც ნამდვილ ხელმძღვანელობას გაუწევენ შრომათა მეურნეობას.

საუბედუროდ, ამასვე ვერ ვიტყვი იმ დიდბობოლა გამგეთა შესახებ, რომელთაც ყოველთვის უკანასკნელი სიტყვა ეკუთვნის ხოლმე პრაქტიკულ ნაბიჯების გადადგმის დროს. ეს ბობოლეები მუდამ «ლენინისებურ სექტორების» ძიებაში ღლაპავენ თავის სულელებს, უგზო-უკვლოთ და ულაგა ალაგას. ასეთ ბედს ვერც მესაქონლეობა გადაურჩება და აი აქ არის სათავე, სადაც მრავალი წინააღმდეგობა იბადება. მასთან მოუფიქრებლობა და ხშირად საქმის წახდენაც...

მთავარი დარგი მესაქონლეობისა ჩვენში — მუშა საქონელია (ხარ-კამეჩი) და მეცხვარეობა.

მელორეობას და მეფრინველეობას უფრო საშუალო ალაგი უკავია; სამაგიეროთ მეძროხეობა ერთობ სუსტად დაყენებული და ეს მით უფროა სავალალო. რომ ჩვენი სამშობლო პირველ ხარისხიდან პირებებს იძლევა მძლავრი მერძეობის (ყველი, კარაქი) ინდუსტრიის დამყარებისათვის.

თავის თავად ცხადია, რომ რაცკი რამ არსებობს მესაქონლეობის დარგში ჩვენში — ყველა ეს თვით მოსახლეობის უნარიანობის შედეგია. არას დროს არავის უზრუნვია მისთვის, რომ ან ჯიში გაუმჯობესებულად იყოს, ან მესაქონლეობის პროდუქტების გადამუშავება მომხდარიყო რაციონალურად. რუსეთის მთავრობა სრულებით არ იყო დაინტერესებული, რომ ადგილობრივ მოსახლეობას შეესწავლა ან ახალი წესი მეურნეობისა, ან შემოელო ახალი რამ დარგი მისი ეკონომიური მდგომარეობის წასაწევით. რუსეთის პოლიტიკა სულ სხვა იყო: საქართველოში უცხოელ ელემენტებს ასახლებდნ და სწორედ მათ ანიჭებდნ ყოველ გვარ პრივილეგიებს... ეს არის

ერთი მიზეზთაგანი, რომ ჩვენებური მესაქონლეობა დღესაც, საერთოდ, პრიმიტიულადაა დაყენებული და არა სძენს ჩვენს ეროვნულ ეკონომიკას იმ სარგებლობას, რომლის მოტანაც ადვილად შეეძლო...

დღეს, როდესაც თითქო რალაცა კეთდება ამ დარგში, ერთობ საჭიროა თავიდანვე იყოს აკლივებული ყალბი ნაბიჯების გადადგმა და მესაქონლეობაში მხოლოდ ისეთი «სექტორების» შემოღება, რომელიც ჩვენს შესძენს საღს, გამძლე და მომგებიან პირუტყვ-საქონელს. წარსულს თვეს ჩვენ ასეთი სადღარეტივო მოსაზრება ამოვიკითხეთ ვილაც ბობოლასავე მიცემული:

«... ჩვენ სათანადოდ უნდა ვიზრუნოთ მუშა-საქონლის განვითარებაზე, სანამ იგი მექანიკური ძალით არ შეგვიცვლია. ჩვენ ვლაპარაკობთ პროდუქტულ მესაქონლეობაზე, როგორცაა ძროხა, ცხვარი, ღორი, შინაური ფრინველები».

ამ დირექტივიდან გამოდის, რომ მუშა-საქონელი, ასე ვსთქვათ, მეორე ხარისხიანი ცოცხალი ინვესტირია, რომლისათვისაც ზრუნვა დაშვებულია «სანამ იგი მექანიკური ძალით არ შეგვიცვლია»...

მეცნიერული აგრონომია სულ სხვანაირად უდგება ამ საკითხს. თავისთავად ცხადია, რომ მაშინ-წინაის გავრცელებით შემცირდება საერთო რიცხვი მუშა-საქონლისა, მაგრამ რაც უნდა განვითაროთ მანქანების შემოღება და გზების გაუმჯობესება — სასოფლო მეურნეობა წარმოუდგენელია უმუშო-საქონლოთ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ ჯურის საქონელს ყოველთვის დარჩება სოფლის მეურნეობაში ბევრი რამ გასაკეთებელი, მეტადრე თუ მივიღებთ სახეში ჩვენს ტოპოგრაფიულ პირობებს. გარდა ამისა იქ, სადაც პროდუქციული მესაქონლეობის გაჩენა ვერ მოხერხდება, მუშა-საქონელი იქმნება ერთად-ერთი პირუტყვი, რომელთაც მიწების გასაპატიებლად მისცემს ჩვენებურ მეურნეობას საჭირო პატივს. ჩვენებურ ბალ-ვენახებში ამ ვამადაც შინა-საქონლის პატივსა ხმარობენ და როდესაც შემოვა რაციონალი და საერთო დაპატივებთა ყველა კულტურულ მიწების, საქონლის პატივის საჭიროება უფრო მწვავედ დადგება. ერთობ საჭიროა სწორი შეხედულება დამყარდეს მიწების დაპატივების შესახებ და თავიდანვე ნათლად გვექნდეს შეთვისებული ის აზრი, რომ მართლ ქიმიურ სასუქების მეტანით შეუძლებელია მიწის დაუბრუნდეს ყველა ის ნაწილები, რაც ათასი წლით გააქვთ მოსავლის მოკრებით. ქიმიური სასუქი დიდი ფაქტორია მიწების განაყოფიერებისათვის, მაგრამ ნამდვილი განაყოფიერება ვერ მოხერხდება თუ საქონლის სასუქი არ იქმნა მოხმარებული. ამიტომაც, რომ ქიმიურ სასუქებს «დამატებითი» სასუქს უწოდებენ. ჯერ მეცნიერებამ არ იცის, რითი უნდა შეიცვალოს ის ფუნქციები, რომელსაც საქონლის სასუქი ასრულებს მიწ-



ბის გასანაყოფიერებლად. აი ამიტომ იქ, სადაც ფართო დაყენებული პროდუქციული მესაქონლეობა ვერ მოხერხდება (ბაკებში აღზდი და შენახვით), იქ მუშა საქონელი იქმნება ერთად ერთი «ცოცხალი მანქანა», რომელიც დაენმარება სოფლის მეურნეობას, როგორც გამწევი ძალა (ესეც ყოველთვის დარჩება), ისე სასუქის მიმცემიც, ჩვენ საჭიროდ დავინახეთ ხაზი გავესვა ამ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტისათვის, რადგან ჩვენში მყოფ «ბოლოლებმა» იციან ხოლმე ერთის დაკვირვით და აჩქარებით გადაჭრა დე პრაქტიკით კითხვების, საგნის გაუცნობლად და უვიციობით კარგი საქმის ჩაფუშვა. ასე იყო, მაგალითად, როდესაც ისინი დაქინებით მოითხოვდნენ, რომ სრულობით მოსპოს ჩვენში პურის თესვა, რადგან მისი შემოტანა რუსეთიდანაც შეგვიძლიანო. ამ წინადადებით ისინი თავის პოლიტიკურ მიზანს კი დიდებულად აღწევდნენ (ეკონომიური გამართლება საქართველოს რუსეთის მიერ დაპყრობისა), მაგრამ, სამაგიეროდ, უდიდეს ზიანს აყენებდნენ (პოლიტიკაზე რომ არცარა ვსთქვათ რა), თვით სასოფლო მეურნეობის წარმოებას და ტენხიკას. კიდევ კარგი, რომ ბოლოს შეიგნეს სპეცების მოხსენებები და ამ უამად, ვგონებთ, აღარ ფიქრობდნენ პურის თესვის მოსპობას საქართველოში...

მუშა-საქონელს დიდი ზრუნვა სჭირია და ეს «სანამ» კი არა, არამედ მუდმივად, რადგან მას თავისი საკუთარი ღირებულება აქვს და სასოფლო მეურნეობაში უიმისობა არც მოხერხდება...

დღეს-დღეობით, ბოლშევიკების ათი წლის ბატონობის შემდეგ, მათი ოფიციალური განცხადებანი ასე ახასიათებენ საქართველოს მესაქონლეობის მდგომარეობას:

«სოფლის მეურნეობის დარგში ყველაზე უფრო ჩამორჩენილია მესაქონლეობა. უკანასკნელი წლის განმავლობაში ცხვრის რაოდენობა შემცირდა ერთი მილიონი სულით.»

აღვილი სათქმელია ერთი მილიონი სულის დაღუპვა... ასეთ კატასტროფაზე ჩვენზედ უფრო მდიდარი ერთი ჩაუფიქრებოდ... უბედურობა ის არის, რომ თუ დღევანდელი წესი და ყოფა გაგრძელდა საქართველოში—ამ დანაკლისის ანაზღაურებას ვერ მოესწრება ჩვენი ერი. ამოდენა საქონლის ამოწყვეტის მიზეზი, უმთავრესად, სოფლის მოუწყობლობა, საძოვრების შემცირება (საქართველოს მიწა-წყალი გაუბოძეს, ვინცკი მოსთხოვა ეს), მეზობელ რესპუბლიკების შორის სლოიდარობის გაუქმება, ერთის სიტყვით, საქართველოს ინტერესების სრული მივიწყება. ამიერკავკასიის კომისარიატმა, ამ ერთადერთმა მთავრობის მსგავსმა ინსტიტუტმა, დააწესა საძოვრების სავადსახადო ტარიფები და აი როცა «მძურ» რესპუბლიკებში ქართველმა მეცხვარეებმა გადაარქვეს თავისი ცხვარი, იქ მათ ერთი ათად გადაანდევინეს საძოვრის ფასი, ასე რომ ამღკრძალავი ტარიფის ხასიათი მიიღო ქართველებზედ დაწესებულმა ვადსახადმა. უკეთეს მაგალითს ნუ ვეძებთ ბოლშევიკების მიერ ეროვნებათა შორის ძმობა-ერთობის დამყარებაში...

საქართველოში ამჟამად დამყარებულ მდგომარეობას,

ბოლშევიკური ოფიც. წყაროები ასე აგვიწერენ:

«სომხეთში (ბოლშევიკურ და არა დამნაქურ სომხეთში) მეცხვარეებს სასოფლო-სამეურნეო ტრესტმა გადაანდევინა 1.100 ჰექტ. საძოვრებში 4545 მანეთი, ე. ი. 1 ჰექტარზე 4 მან 18 კაპ., ლენინკანის მანარში 60 ჰექტარში—420 მანეთი, ე. ი. 1 ჰექტარზე 7 მანეთი, კანონიერი მაქსიმალური ქირის 1 მან. 55 კაპ. ნაცვლად; ახერბეიჯანში (ბოლშევიკურ და არა მუსავლტების ახერბეიჯანში), შირვანის ველზე, საქართველოს მეცხვარეებმა საძოვრები იჯარით აიღეს სასოფლო საზოგადოებათა და ცალკე პირთაგან და ნიხრით განსაზღვრულ 6000 მანეთის ნაცვლად გადაანდევინეს 22.000 მანეთი» (ყველგან ფხილღებში მოყვანილი სიტყვები და ხაზგასმულობა ჩვენ გვეკუთვნის —ლი—გ.).

აი კიდევ ერთი ამონაწერი «საქ. მუშგლეხინის (!) მასალებიდან»:

«კრიზისის მეცხვარეობაში ხელი შეუწყო აგრეთვე საძოვრების შემცირებამ, რის გამო. ნაწილი ცხვრებისა საბალახოთ გარეკილი უნდა იქნეს საქართველოს ფარგლების გარეთ ასე, მაგალ., 1929 წელში საქართველოს ფარგლებს გარეთ იქნა გადარეკილი 585 ათასი ცხვარი, ზამთარში, და 485 ათასი ცხვარი ზაფხულში... (გაზ. «კომუნ.»).

მეცხვარეობის თათბირზე ასე იყო გაშუქებული აწინდელი მდგომარეობა: «რადგან საძოვრების იჯარით აღებას მეზობელ რესპუბლიკებში უსიამოვნება (ხაზი ჩვენგანაა გასმული —ლი—გ.) მოსდევს, მეცხვარეები ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი ცხვარი მოათავსონ საქართველოს ფარგლებში და რაც შეიძლება ნაკლები ცხვარი გადაარეკონ სხვა რესპუბლიკებში ამგვარად, საქართველოს შიგნით საძოვრების დატვირთვა ძლიერდება (თვითეულ ჰექტარზე ალაგ-ალაგ ზაფხულობით აძოვებენ 20-მდე ცხვარს, რვის ნაცვლად, ხოლო ზამთრობით 5 მდე სამის ნაცვლად), ეს კი, ერთის მხრით, აუარესებს საძოვრების ღირსებას, ხოლო მეორეს მხრით, ამცირებს მეცხვარეობის ნაყოფიერებას (გაზ. კომ.)».

აბა, ამ პირობებში როგორ უნდა მოხერხდეს მეცხვარეობის აღდგენა?..

არც მსხვილი რქოსანი მესაქონლეობაა დღეს უკეთეს პირობებში. დასავლეთ საქართველო მესაქონლეობის მდგომარეობა ასეა დახასიათებული: «ჩვენ თვალწინ ილუბება მეტად დიდი დარგი ჩვენი სახალხო მეურნეობისა იმ არანორმალური პირობების გამო, რომელიც შედეგია სათანადო ორგანოების მიერ წარმოებული არა სწორი პოლიტიკის». აი კიდევ ერთი ოფიციალური დასურათება მდგომარეობისა: «...ყველა ეს გარემოება იძულებულს ყოფს მეჯოგეს ლიკვიდაცია უყოს თავის საქონელს და ხშირია შემთხვევები, როდესაც მთელი ჯოგებით მეჯოგეები მიერეკებიან საქონელს ბაზარზედ საკლავად გასაყიდათ».

ჩვენი აგრონომები აღნიშნავენ, რომ 1913 წლიდან დაწყებული მედროებას სულ მეტი და მეტი მნიშვნელობა ეძლევა სახალხო მეურნეობაში. 1913 წელს საქართველოში ყოფილა სულ 284.000 ღორი

და 1927 წელს კი უკვე 586.000 ლორი.

დიდია შინაური ფრინველის მოშენების მნიშვნელობა, აგრ. ე. კარ—შვილის გამოკვლევით შინაური ფრინველის ნაწარმოების საერთო ღირებულობა (კვერცხი, ხორცი, ბუმბული) აღწევდა:

წლები	ლირებ. ჩეოვან.	პროც. საქ. სოფ. მეურ.
	1000 მან.	საერთო პროდუქტ.
1926	15.520;9 მან.	18 პროც.
1927	17.650;9 „	18,7 „
1928	18.474;3 „	17,9 „
1929	18.604;5 „	17,6 „

რაც შეეხება მეცხვარეობას, ამ დარგის პროდუქცია ასე აქვს დახასიათებული თავის მოხსენებაში მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელს ზურაბ ელიავას: «რაც შეეხება მეცხვარეობის პროდუქციას, ე. ი. მატყლსა და ხორცს,—საქართველოს მეცხვარეობის საერთო პროდუქცია საბჭოთა კავშირის მეცხვარეობის ბალანსში აღწევს 5 პროცენტს. ჩვენი მატყლი კარგი ხარისხისაა, ჩვენებური ცხვარი იძლევა საუკეთესო ღირსების ხორცს. აღსანიშნავია ამასთანვე, რომ მაღალხარისხოვანი მატყლის რაოდენობა თუშური მატყლიდან 50 პროცენტს უდრის, მაშინ, როდესაც ამ რაოდენობის მაღალხარისხოვან მატყლს არ იძლევა არც ერთი ჯიშის ცხვარი».

როგორც ზემოთ დავინახეთ ცხვრის რაოდენობამ წლიან იკლო უკანასკნელ წლებში. ამან თავისთავად ცხადია, შეამცირა მატყლის მოსავალიც. «მუშგლეზნის» მასალებიდან ვტყობილობთ, რომ მატყლის დამზადება ასე ხდებოდა:

წელი:	დამზადებული იყო ტონა:
1927	1722,3 ტონა
1928	1577,3 „
1929 (ელოდენ)	1500 ტონა (ე. ი. 15 პროც. ნაკლები ვიდრე 1927 წელში).

ამავე დროს საქართველოს საფეიქრო მრეწველობაში გადამუშავებული:

წელი	ტონა
1928-29	1056,8 ტონა
1930-31 იქმნება გამოყენებული	2478 ტონა.

ინგლისი და დომინიონები

დომინიონები წარმოდგენილი იყვნენ ვერსალის კონფერენციის საბჭოს ოცდასუთ წევრთა შორის. ამას გარდა კონფერენციის პლენალურ სხდომაზე ავსტრალიას, კანადას და სამხრეთ აფრიკის კავშირს ყავდათ ორ-ორი წარმომადგენელი თითო, ახალზელანდიას კი ერთი წარმომადგენელი. შემდეგ დომინიონებმა სხვებთან ერთად ცალკე მოაწერეს ხელი ვერსალის ხელშეკრულებას, რაც მათ უფლებას აძლევს ცალკე თავთავიანთი წარმომადგენლობა ყავდეთ ერთა ლიგაში. მას შემდეგ, რაც თვითმართველ დომინიონებმა ვერსალის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს და ისინი ერთა ლიგის წევრნი გახდნენ, მათი საერთაშორისო მდგომარეობა სავსებით შეიცვალა. ისინი საერთაშორისო ასპარეზზე თითქმის გა-

მოგვყავს ცხრილი, რომელიც გვიჩვენებს ჩვენებურ მესაქონლეობის მდგომარეობას 1913, 1927 და 1928 წლებში. საუბედურთ ამ ცხრილისთვის ვერ ვისარგებლეთ 1929 წლის ციფრები, რადგან ისინი, ცოტა არ იყოს, გაზვიადებულად გვეჩვენება. 1929 წ. ცნობები მოთავსებულია საპროპაგანდო დამატებაში და ცხადათ ემჩნევა სიყალბე. მაგალითად, ცხვარი ნაჩვენებია იქ 1967 ათასი თავი, მაშინ როდესაც აგრონომების მოხსენებები, რომელთაც საგანგებოთ ქონიათ მინდობილი მეცხვარეობის გამოკვლევა, გვიჩვენებენ 1485 ათასს. ასევეა შინაური ფრინველის აღწერა. 1929 წლისათვის ნაჩვენებია 5 მილიონი ფრინველი, მაშინ როდესაც აგრონომების გამოკვლევით 1928 წელს ნაანგარიშევი იყო მხოლოდ 2.452.327 ფთა. შეუძლებელია, რომ რამდენიმე თვეში 2 ნახ. მილიონი ხუთ მილიონამდე გაზდილიყოს. ასეთ სასწაულს ბოლშევიკებიც კი ვერ მოახერხებდნენ!.. აი ამიტომაც საეჭვოთ მიგვაჩნია 1929 წელს მსხვილფეხა რქოსანი საქონელის აღრიცხვა 1569 ათას სულათ.

ნეტავი 1929 წლის ციფრები. მართლაც სწორი იყოს. პირველი ჩვენ მოვისდით ბოდიშს ამიერ-კავკასიატა. სამართველს წინაშე, რომ ეჭვი შეგვეპარა...

	1913 წ.	1927 წ.	1928 წ.
1) ცხენი	120.508		98.500
2) მსხვ. რქიანი საქ.	1.301.170		1.521.000(?)
3) ცხვარი	1.663.488	2.037.000	1.967.200(?)
		(ზოგიკი 1.910.700 უჩვენებს)	
4) თხა	190.867		319.000
5) ლორი	284.254	586.000	755.000
6) შინაური ფრინვ.	3.717.700	3.218.669	2.452.327

გარდა ამისა, 1913 წელს ირიცხებოდა ჯორი და ვირი: 32.049 და აქლემი 454 თავი. ამიანათ სულ საქონელი (ფრინველის გამოკლებით):

	1913 წ.	3.593.290
	1928 წ.	4.660.700 (?)

—ლი—გ.

უთანასწორდენ ყველა სხვა დამოუკიდებელ სახელმწიფოებს.

ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ეხლავე გავაკეთოთ ერთი მნიშვნელოვანი შენიშვნა. ინდოეთის წარმომადგენელი ინგლისის და დომინიონების წარმომადგენლებთან ერთად იღებდა მონაწილეობას საიმპერიო სამხედრო კაბინეტში დიდი ომის დროს. მანვე მოაწერა ხელი ვერსალის ხელშეკრულებას, რის ძალითაც დღეს ინდოეთი წარმოდგენილია ერთა ლიგაში. მაგრამ ყველაფერი ეს მოხდა მიტომ, რომ ომის დროს ინდოეთს ინგლისისთვის უდიდესი მნიშვნელობა ქონდა და ინგლისსაც უნდა გაეწია ერთნაირი ანგარიში ინდოეთისთვის. ამიტომ იყო, რომ ომის, თუ სახავო მო-



ლაპარაკების დროს ინდოეთი ინგლისთან და დომინიონებთან ერთად ყველა საერთო სამხედრო ორგანიზაციაში და საზავო დელეგაციებში იყო წარმოდგენილი. ზავის ხელშეკრულებასაც აწერდა ხელს ინდოეთის წარმომადგენელი. მაგრამ სინამდვილეში კი ინდოეთის უფლებები და მისი ინგლისისაგან დამოკიდებულება სულ სხვა იყო და არის დღესაც. ვიდრე თვითმართველ დომინიონებისა. თვით ინდოეთის «წარმომადგენელიც» კი არ ყოფილა ნამდვილი ინდოეთის წარმომადგენელი. ის არჩეულ და დანიშნული იყო ინგლისის მთავრობის მიერ და ირიცხებოდა თვით ინგლისის დელეგატთა შორის. ჩვენ ვიცით, რომ ინდოეთში არ არსებობს «პასუხისმგებელი მთავრობა». იქ საკანონმდებლო დაწესებულებას მხოლოდ რჩევითი ხასიათი აქვს და მის კონტროლს აღმასრულებელი ორგანო არ ექვემდებარება. ეს ორგანო უშუალოდ ემორჩილება ინდოეთის მთავარ მართებელს, ინგლისის მეფის წარმომადგენელს და შემდეგ კი ლონდონის მთავრობას. ქვეყანა, სადაც ასეთი რეჟიმი და მართვამეთვალა არსებობს, რასაკვირველია, ვერაფრით შეედრება დღევანდელ დომინიონებს. «დომინიონის სტატუსის» მოსაპოვებლათ მხოლოდ ახლა წარმოებებს სასტიკი ბრძოლა ინდოეთში.

დომინიონები დღეს სარგებლობენ «დომინიონის სტატუსს», რომლის შინაარსი არსად წერილობით და გარკვევით ჩამოყალიბებული არ არის. მაგრამ ის ყველასათვის ნიშნავს იმას, რომ დომინიონები თავის შინაურ და გარეშე საქმეებში დამოუკიდებელნი არიან.

დიდი ომის დაწყებიდან «დომინიონის სტატუსის» სარგებლობა იმას ნიშნავდა, რომ ესა თუ ის დომინიონი მხოლოდ თავის შინაურ საქმეებში იყო თავისუფალი და დემოკრატიული, საგარეო საქმეებს კი საიმპერიო მთავრობა განაგებდა. იმ დროს «დომინიონის სტატუსის» და «პასუხისმგებელი მთავრობის» ცნება ერთი და იგივე იყო, არც მეტი არც ნაკლები, ომის შემდეგ კი «დომინიონის სტატუსის» ცნება თანდათანობით ღრმავდება და ფართოვდება. დომინიონები უკვე ხთებიან თავისუფალნი და დამოუკიდებელნი როგორც საშინაო, ისე საგარეო საქმეების წარბოვებაში.

როცა ომი დაიწყო, ყველა დომინიონები ჩამოერიენ ამ ომში და ინგლისთან ერთად იბრძოდნენ. მაგრამ დომინიონები გარკვევით ამბობდნენ, რომ ისინი არ იყვნენ მოწაწილენ იმ პოლიტიკისა, რომელსაც სხვები აწარმოებდნენ ომის წინ და რამაც ეს უქანასკნელი გამოიწვია. ასეთი რამის განმეორება მომავალში შეუძლებელი უნდა იქნას და მას ჩვენ მეტათ ვეღარ მოვიტმენთო —, აცხადებდნენ ერთხმად დომინიონები.

როცა 1922 წელს ოსმალეთის ჯარი ინგლისელებს ჩანაკში ემუქრებოდა, ლოიდ ჯორჯმა ოსმალთა ასლაგმავთ დომინიონებს მიმართა, მაგრამ მათგან კატეგორიული უარი მიიღო. დომინიონები ეს-ლა უკვე საგარეო საქმეებში თავის თავს დამოუკიდებლათ სთვლიდნენ და სხვების აზრებს და ინტერესებს თავისათ აღარ იხთიდნენ. ინგლისელებმა ჩანაკი

მიატოვეს, ლოიდ ჯორჯი მთავრობიდან გადადგა. არა ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, როცა მოკავშირეებმა ოსმალეთთან ხელი მოაწერეს ლონდონის საზავო ხელშეკრულებას 1923 წელს. დომინიონები არ ყოფილან მაშინ მოწვეულნი ხელ მოსაწერათ. ლონდონში დომინიონების წარმომადგენლების არ ყოფნამ და მათ მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოუწერლობამ წამოაყენა ინგლისელებისათვის მეტად არა სასიამოვნო საკითხი. კანადის დომინიონის პირველმა მინისტრმა, მაკენზიმ განაცხადა პარლამენტში, რომ ლონდონის ხელშეკრულება სავალდებულო იქნება კანადისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულებას კანადის პარლამენტი გაუკეთებს რატიფიკაციას. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ჩვენთვის სავალდებულო არ არისო.

1924 წლის დასაწყისში მაკდონალდის პირველმა მთავრობამ იცნო საბჭოთა რუსეთი. ამ ცნობის შესახებ ის დომინიონებს არ შეკითხებია და მათთან თათბირი არ ქნებია. კანადის მთავრობის თავმჯდომარემ კი განაცხადა, რომ მას საბჭოთა მთავრობის ცნობის საკითხში ქონდა თავის საკუთარი აზრი, როგორც ყველა სხვა საკითხებში და იცნობდა რუსეთს მხოლოდ მაშინ, როცა ამას საჭიროთ დაინახავდა. მართალია კანადამ შემდეგში იცნო რუსეთი, მაგრამ ეს მოხდა ინგლისის მთავრობისაგან სრულიად დამოუკიდებლათ და მის დაუკითხავათ.

1925 წელს ლოკარნოს პაკტმა დიდი პასუხისმგებლობა დააკისრა ინგლისს. ლოკარნოს პაკტი გარანტიას იძლევა დაიცვას არსებული საზღვრები საფრანგეთ გერმანიას შორის, თუ შევლიას და გერმანიას შორის და აგრესივობის მოსარიგებლად დაეხმაროს ამა თუ იმ მხარეს. ლოკარნოს კონფერენციასზე ბევრ სხვა სახელმწიფოთა შორის არც დომინიონები ყოფილან მიწვეულნი, მაგრამ ლოკარნოს ხელშეკრულებაში სპეციალურათ არი აღნიშნული, რომ ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებანი არ იქნებიან დომინიონებისათვის სავალდებულო. თუ მათი პარლამენტები ამ ხელშეკრულებას წინასწარ რატიფიკაციას არ მოუხთენენ. ერთი სიტყვით, ომის შემდეგ ძლიერ ხიზრად, როცა საგარეო ხასიათის რაიმე საკითხი კი წამოიჭრებოდა ინგლისს და დომინიონებს შორის და პირველი მეორეთა უზურპაციას შეეცთებოდა, დომინიონები ასეთ შემთხვევაში ყოველთვის ენერგიულათ იცავდნენ თავიანთ დამოუკიდებლობას ინგლისისაგან.

დომინიონების შინაურ საქმეებში ინგლისი აღარ ერეოდა იმ დღიდან, როცა დომინიონებში თვითმართველობა—Self-Government და «პასუხისმგებელი მთავრობა» იქნა შემოღებული. საგარეო საქმეთა წარმოების სფეროში კი ინგლისსა და დომინიონებს შორის დამოკიდებულება წერილობით არასოდეს არ ყოფილა გარკვეული და ჩამოყალიბებული. ამ მხრივ არ არსებობს არავითარი კონსტიტუცია. ასე რომ «დომინიონის სტატუსის» შინაარსი მხოლოდ პრაქტიკით და პრეცედენტებით განისაზღვრება.

ინგლისის და დომინიონების დამოკიდებულების მთელი ის პრაქტიკა და ყველა ის პრეცედენ-

ტები. რასაც ადგილი ქონდა 1926 წლამდე, აღნუსხულ იქნა მოხსენებაში ამ წლის საიმპერიო კონფერენციას. ამ საიმპერიო კონფერენციას დომინიონებისათვის არავითარი ახალი უფლებები არ მიუნიჭებია. კონფერენციას მოხსენდა მხოლოდ ის გზები და მეთოდები, რომლითაც აწარმოებდნენ დომინიონები მუშაობას ინგლისთან დამოკიდებულების საგარეო სფეროში ომის შემდეგ 1926 წლამდე. ამ გზების, თუ მეთოდების წინააღმდეგ არავინ გამოსულა კონფერენციასზე და არავის დაუგმია ისინი. 1926 წლის საიმპერიო კონფერენციის მოხსენება ყველას მიერ დადასტურებულ და სახეში იქნა მიღებული. თავისთავად ცხადი იყო, რომ წინააღმდეგი პრაქტიკის და პრეცედენტების განმეორება დასაშვები და შესაძლებელი არ იყო. კონფერენციამაც ეს ნათლათ სთქვა ერთ თავის მეტად მნიშვნელოვან რეზოლიუციაში: «მათი (ბრიტანეთის იმპერიაში შემავალ სხადასხვა ნაწილების—კ. გ.) მდგომარეობა და ურთიერთშორის დამოკიდებულება ასეთ ნაირად შეიძლება განისაზღვროს: ისინი ავტონომიური ერთეულები არიან ბრიტანეთის იმპერიაში, თანაწილი ინგლისის, არაფერში ერთმანეთს არ ემორჩილებიან. არც საშინაო და არც საგარეო საქმეთა სფეროში, თუმცა გაერთიანებული არიან მეფისადმი საერთო მორჩილებით და თავიანთ ნებაყოფლობით შედიან ბრიტანეთის ერთა კავშირში»

წინეთ სიტყვა დომინიონი ნიშნავდა ბრიტანეთის იმპერიის უბრალო სამფლობელოს. როცა შემდეგ კოლონიებში თვითმართველობა და «პასუხისმგებელი მთავრობა» შემოიღეს და ზოგი კოლონიის თვითმართველი პროვინციები გაერთიანდნენ ფედერატიულად, თუ კონფედერატიულად დომინიონის სახელწოდებით (კანადა, სამხრეთ აფრიკის კავშირი, ავსტრალია), სიტყვა დომინიონმა უკვე სხვა მნიშვნელობა მიიღო. დომინიონი ნიშნავდა მაშინ «პასუხისმგებელი მთავრობის» და თვითმართველობის ქონას. მაგრამ თვითმართველობა მხოლოდ შინაური საქმეებით განისაზღვრებოდა და ის საგარეო საქმეებს არ ეხებოდა. დღეს კი დომინიონი სინონიზია, როგორც საშინაო, ისე საგარეო საქმეების დამოუკიდებლათ წარმოებისა. 1927 წელს ინგლისის მთავრობის წევრი, ჯიონსონ ჰიკის აცხადებდა თემთა პალატაში, რომ უკანასკნელ საიმპერიო კონფერენციის შემდეგ თვითმართველნი დომინიონები უფლებრივად გაუთანაწილდნენ ინგლისს. ამავდროს სამხრეთ აფრიკის კავშირის პარლამენტში მთავრობის თავმჯდომარე—გენერალი ჰერცოგი ამბობდა, რომ დომინიონების სუვერენული ეროვნული სტატუსი ცნობილ იქნა დიდი ბრიტანეთის მიერ და ინგლისის მთავრობამ სავსებით ხელი აიღო მათზე ყოველგვარ კონტროლზე. ასეთივე აზრი გამოსთქვა გასული წლის დამოუკიდებლობის პალატაში მაკდონალდის მთავრობის წევრმა, ლორდ პასფილდმა.

რა აკავშირებს დღეს დომინიონებს ინგლისთან? მხოლოდ მეფე.

თვითუღ დომინიონში ინგლისს ყავს თავისი წარმომადგენელი გენერალ გუბერნატორი. ამ ბო-

ლო დრომდე გენერალ გუბერნატორი ერთ და იმავე დროს წარმომადგენდა მეფესაც და ინგლისის მთავრობასაც. დომინიონების და ინგლისის სტატუსის თანასწორობა რომ დატული ყოფილიყო, 1926 წლის საიმპერიო კონფერენციის შემდეგ გენერალ გუბერნატორი დომინიონში წარმომადგენს მხოლოდ მეფეს. სანამ გენერალ გუბერნატორი დაინიშნებოდა დომინიონში, ამ უკანასკნელს ეგზანება რამდენიმე პირის სია და ამ პირთა შორის ამა თუ იმ დომინიონის მთავრობა თვით ირჩევს კანდიდატს გენერალ გუბერნატორის პოსტზე. გენერალ გუბერნატორი საზოგადოთ არ ერევა დომინიონის მართვა-გამგეობაში, ის უფრო ადასტურებს და ცნობათ იღებს იმ ზომებს, რომელსაც დომინიონის მთავრობა მიმართავს.

1926 წლიდან დომინიონებმა ჩვეულებათ შემოიღეს უცხო ქვეყნებში ცალკე თავიანთი დიპლომატიური წარმომადგენელები ყავდეთ, რითაც საგარეო საქმეების ინგლისისაგან დამოუკიდებლათ წარმოებას განსაკუთრებული ელფერი ეძლევა. დღეს კანადას ყავს თავისი დიპლომატიური წარმომადგენელი ვაშინგტონში, პარიზში, ტოკიოში და ბერლინში. ამ ორი წლის წინათ კანადას ერთა ლიგის საბჭოშიაც ყავდა თავისი წარმომადგენელი, სენატორი დანდურანი, რომელიც 1925 წელს ერთა ლიგის პლენარულ სესიონებს თავმჯდომარეობდა. ირლანდიას ყავს თავისი დიპლომატიური წარმომადგენელი ვაშინგტონში, პარიზში, ბერლინში და ვატიკანთან. განმარტულია ამ მოკლე ხანებში დაინიშნოს სამხრეთ აფრიკის წარმომადგენლები ბერლინში, იტალიაში და პოლონიაში. სხვა უცხო სახელმწიფოებში დომინიონების დიპლომატიური წარმომადგენლების დანიშნა დღეს უფრო ხარჯების და ეკონომიის საკითხია.

ხშირად ბრიტანეთის ერთა კავშირს ბრიტანეთის იმპერიას უწოდებენ, მაგრამ ეს იმპერია იმ სახით, როგორც ის მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში აღორძინდა და მომავრდა, დღეს აღარ არსებობს. ბრიტანეთის იმპერია მთლიანი ეკონომიურათ და პოლიტიკურათ მხოლოდ წარსულს ეკუთვნის.

დიდი ბრიტანეთის კოლონიების დაპყრობა მეცხრამეტე, თუ მეცხრამეტე საუკუნეებში უმთავრესათ კომერსანტთა და ვაჭართა ინიციტივით იწყებოდა, თუმცა მათ მიერ სიმდიდრის და ფართე ბაზრის ძებნის ავანტიურებში ფარულ მონაწილეობას ინგლისის მთავრობაც იღებდა. წინათ დიდი ბრიტანეთი თავის კოლონიებით და უდიდესი ბაზართით ერთ მთლიან და მძლავრ ეკონომიურ ერთეულს წარმოადგენდა და მას ადვილათ მეტოქეობას ვერავინ უბედავდა. საკოლონიზაცია ადგილებიც ბევრი ქონდა და ერთი ადგილიდან მეორეზე ხალხი ადვილათ გადაყავდა. ქვეყანა ყვაოდა მრეწველობით და მას უმუშევრობა, რასაკვირველია, ვერ შეაწუხებდა. ინგლისი ეკონომიურათ მთლიანი და მძლავრი შინ და გარეთ პოლიტიკურათაც იყო სრული ძალაუფლების მატარებელი მთელი ბრიტანეთის იმპერიის საზღვრებში.

დიდმა ომმა და მისმა შედეგებმა ყველაფერი

ყირამალა დააყენა და ძველი მდგომარეობა ძირბუდიანათ შესცვალა. ინგლისთან სამეტყულოთ საერთაშორისო ასპარეზზე ახალი ძალები გამოვიდენ. ინგლისმა დაკარგა საერთაშორისო ბაზარი და ის იქ წინანდებურათ ვეღარ ბატონობს. ომის დროს და ომის შემდეგ თვით დომინიონებმაც შექნეს თავიანთი საკუთარი მრეწველობა, რითაც ისინი ინგლისისაგან თვალსაჩინოთ დამოუკიდებელნი გახდნენ.

დომინიონების ეკონომიურმა დამოუკიდებლობამ პოლიტიკური დამოუკიდებლობის იდეაც გაზარდა და გაათამამა.

წინათ ინგლისი ათი და ასი ათასობით გზავნიდა თავის უმუშევართ საკოლონიზაციოთ და სამუშაოთ კანადაში, ავსტრალიაში, თუ ახალ ზელანდიაში. დღეს კი ინგლისი უმუშევრობა აღრჩობს, მაგრამ არ იცის კი, რა ქნას. შინ მრეწველობის უდიდესი კრიზისი აქვს, გარეთ კი უმუშევართა გაგზავნა არ შეუძლია. დომინიონები დღეს თავისთავს ეკონომიურათ და პოლიტიკურათ დამოუკიდებელ ერთეულათ სთვლიან, სხვა ადგილებიდან მოსულ უმუშევართ ისინი არ იღებენ და უფრო თავიანთ თავზე ფიქრობენ. ინგლისს კი არ აქვს არც საშუალები, არც უფლება მათ ძალით მოახვიოს რამე თავზე დი მით გამოასწოროს თავის მძიმე მდგომარეობა. ვიმეორებ, ბრიტანეთის იმპერია ძველი სახით აღარ არსებობს, მისი ადგილი დღეს ბრიტანეთის ერთა თავისუფალმა კავშირმა დაიკავა.

როგორია ამ თავისუფალ კავშირში შემავალ ერთა მისწრაფება? მიიღებენ ის ერები უფრო მკვიდრი კავშირისაკენ და თავიანთ თავის პოლიტიკურათ ერთნაირ შეზღუდვისაკენ, თუ შესაძლებელია ზოგი მათგანის ამ კავშირიდან გამოსვლაც კი? ავსტრალია და ახალი ზელანდია, რომელნიც იაპონიის ერთნაირ საშიშროებას განიცდიან და რაც მათ მეტად აფიქრებს, უფრო იმის მომხრე არიან, რომ ბრიტანეთის ერთა თავისუფალი კავშირი დაცულ იქნას არსებული დღევანდელი ფორმით. ამ კავშირში მათი ყოფნა მათ აძლევს გარანტიას იაპონიის საფრთხის წინაშე. მაგრამ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ კავშირში შემავალ ერთა შორის, არავინ არ ფიქრობს ზემოთ ახსნილ და განმარტებულ «დომინიონის სტატუსის» შეზღუდვაზე. წინააღმდეგ, არიან დომინიონები, რომელნიც ბრიტანეთის ერთა კავშირს არ სთვლიან მაინცამაინც აუცილებელ საჭიროებათ. ასეთი დომინიონებია სამხრეთ აფრიკის კავშირი და განსაკუთრებით კი ირლანდია.

750 წლის ინგლისთან მუდმივ ბრძოლის შემდეგ ირლანდიამ თავისუფლებას მხოლოდ 1921 წელს მიაღწია, როცა მას და ინგლისის შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება, რომლის ძალით ირლანდიამ «დომინიონის სტატუსი» მიაპოვა. მაგრამ ამ სტატუსით მთელი ირლანდია არ დარჩა კმაყოფილი.

დომინიონების სრული სუვერენობის ერთნაირი შეზღუდვა იმაში გამოიხატება, რომ დომინიონების პარლამენტის წევრებმა პარლამენტში პირველათ შესვლისას ინგლისის მეფისადმი ერთგულების ფიცი უნდა მიიღონ. ირლანდიის უკიდურესი ნაციონალისტები კი დევეალერას ხელმძღვანელობით ასე-

თი ფიცის წინააღმდეგნი არიან და ირლანდიისათვის რესპუბლიკანურ რეჟიმს მოითხოვენ. ისინი წინააღმდეგნი არიან აგრეთვე ინგლისის მეფეს თავისი წარმომადგენელი გენერალ გუბერნატორი ყავდეს ირლანდიაში, თუმცა ამ გენერალ გუბერნატორს რამდენიმე წარდგენილ პირთა შორის თვით ირლანდიის მთავრობა ირჩევს. დღეს, მაგ., ირლანდიაში მეფის წარმომადგენლად და გენერალ გუბერნატორად არის მაცნელი, ეროვნებით ირლანდიელი, რომელსაც ირლანდიის თავისუფლებისათვის ბრძოლაში 40 წელი გაუტარებია და რომელიც ინგლისელების საპყრობილებში არა ერთხელ და ორჯერ ყოფილა. დევეალერას დღეს ირლანდიის პარლამენტში მხოლოდ 8 ხმა აკლია, რომ მართველ პარტიას გაუთანასწოროდეს. რომ მომავალ არჩევნებში დევეალერას მომხრეებმა გაიმარჯვონ, რაც ადვილათ მოსალოდნელია, შეიძლება მათ ინგლისის მეფისადმი ერთგულებაზე უარი განაცხადონ, გენერალ გუბერნატორი აღარ მიიღონ და ირლანდია რესპუბლიკათ გამოაცხადონ. ეს არსებითად იქნება ირლანდიის ბრიტანეთის ერთა კავშირიდან გამოსვლა. ძველი წარმოსადგენია, რომ ასეთ რამეს ინგლისი იარაღით ხელში შეებრძოლოს. არც ის იქნება შეუძლებელი, რომ ირლანდიის მავალითის შემდეგ სამხრეთ აფრიკის კავშირმა, თუ კიდევ სხვა ვინმემ მიბძალოს. შეიძლება უსაფუძვლო არ იყოს ზოგი ინგლისელ პოლიტიკურ მოღვაწეების ის შიში, რომ ანთა თუ ბრიტანეთის იმპერია, რომელიც, როგორც ასეთი, არც კი არსებობს დღეს, არამედ თვით ბრიტანეთის ერთა თავისუფალი კავშირიც კი დამლის და დანაწილების პროცესის წინაშე იმყოფება.

კ. გვარჯალაძე.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა მ ბ ე ბ ი

(გაზეთებიდან)

ამ-კავკ. სასკომსაბჭომ თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა ამ-კავკ. სამრეწველო ტყეების საკითხი და დაადგინა: სურების, ერკეთის, გომის, სენაკის, ქუთაისის, ნიკორწმინდის, ლენტეხის, ჩოლურის და ბარტასის (ხანგეზური) სატყეო აგარაკები დაუყონებლივ გადაეცეს ა-კ. რკინის გზებს.

ამიერ-კავკასიის ყველა დანარჩენი სამრეწველო ხასიათის ტყეები მთელი აპარატითა და ინვენტარით უნდა გადაეცეს ა-კ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს. ა-კ. სახ. მეურნეობის საბჭოს უნდა გადაეცეს აგრეთვე მთელი სატყეო მეურნეობა (გარდა რკინის გზისათვის გადაცემული ტყეებისა) და მთელი სატყეო მრეწველობა.

— «საქართველოს მრეწველობის გამომუშავებელი პროდუქცია ცუდი ხარისხისაა. წლის პირველ ნახევარში უშვებდნენ ძალიან ცუდი ხარისხის ფეხსაცმელებს, ტყავს, ქეჩას, აბრეშუმს და ხე-ტყის მასალებს. არც ახლა (ავგუსტო) გაუმჯობესებულა ამ ნაწარმოების ხარისხი, პირიქით მათ მიემატა ქუთაისის ფაბრიკის მთელი, რომელსაც წინის დიდი პროცენტია აქვს. ბრიკეტის წარმოებაშიაც შესამჩნევია ბრიკეტების ხარისხის გაუარესება».

უკანასკნის ცხოვრებინა

— „პურის დამზადების საქმის სავანგებო რწმუნებულმა ამ.კავკასიაში აღვიღებ დაუგზავნა დირექტივა—გადლიერებულ იქნას ბრძოლა პურის სპეკულიაციისა და «მეტრომრეგებთან». იმას ვისაც ხუთ ფუთზე მეტი პური აღმოაჩნდება, აუცილებლად ჩამოერთმევა და იგი «სოფუნობა»-ის მასლობელ პუნქტს გადაეცემა. იმ მარცვლეულში, რომელიც მოსახლეობის შრომელ ელემენტებს ჩამოერთმევით, მათ მიეცემათ დამზადების ფასი და დაუბრუნდება ტარა. არამშრომელ ელემენტებს კი ჩამოერთმევით როგორც პური ისე ტარა, რაშიაც არავითარი სახალაური არ მიეცემათ».

— ტფილისის აღმასკომის თათბირზე ბაზრის მეთვალყურე ქორიძემ განაცხადა: «იმ დროს როცა მუშკოპის მაღაზიებში საქონელი ძნელი საშოვია, ბაზარზე აუარებელს დეფიციტურს საქონელს შეხედებით: ფართალი, შაქარი, ფეხსაცმელი, პაპირისი და სხვა მრავლად მოიპოვება. მხოლოდ არაჩვეულებრივად არის ვაჭლილი ფასები. წყარი ამ საქონლის მუშკოპია. გამოაქვთ იქიდან და ყილიან».

— «მეფრინველთა კავშირისაგან ფოთის მუშკოპმა მიიღო 200 ათასი გაფუჭებული კვერცხი.

— გერმანელ მეცნიერების ნელმძღვანელობით დაიწყო არქეოლოგიური გათხრები ნაქალაქეში (სამეგრელო) და მცხეთაში.

— გაზ. «კომ.» ცნობით კახეთის, ტფილისის და გორის ოლქებში, ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში და სამხრეთ ოსეთში ოცი აგვისტოსთვის პურეულის დამზადება შესრულებული იყო მხოლოდ 26, 91 პროცენტით.

— აკად. ნ. მარი ჩაირიცხა კომუნისტურ პარტის წევრად.

— ბორჯომში წელს დიდძალი ხალხი იყო ჩასული სავარაკოთ, მაგრამ საშინელი სიძვირისა გამო სხვონის ბოლომდე არავის მოუცდია.

— ს. ვანში (ქუთ. მ.) თოფით მოკლეს სამეუზოდან მომავალი კოლმეურნეობის თავმჯდომარე და კომ. პ. წევრი არაბიძე.—ბაშუეთში (გორ. მ.) ცეცხლი წაუკიდეს კომუნის ქონებას, დაიწვა სამი ათასი ფუთი თივა და საბძელი.—ტირნისში (გორ. მ.) დაიწვა რაიკავშირის ხილის საწყობი (ცეცხლის დროს გაფუჭებული აღმოჩნდა სატელეფონო ხაზი).—ბოლქეში (ლაგოდეხ. რ.) დაიწვა კომუნის 20 ათასი ფუთი ზორბალი.

— ტფ. ოლქის კომიტეტის პლენუმზე მომხსენებელმა ავაქოვმა განაცხადა: იყო შემთხვევები როცა კომუნისტები და კომკავშირელები უჯრედში საკითხის დამუშავების შემდეგ პურის დამზადების კამპანიის წინამდებ გამოდირდნენ.

— სასკომსაბჭოს დადგენილებით მუშებს ხორცი მიეცემათ თვეში 10 დღეს: თვით მუშებს 100 გრ. და მის ოჯახის წევრებს 75 გრ. სულზე.

— აგვისტოს დამოევს (ამ თვეს ბლომევიკები პურის დამზადებისთვის გადააწყვეტ დევე სთვიდენ) ყოფილ ტფ. გუბერნიაში დამზადებული იყო პურეული 44,7 პროც.

მეჩვიდმეტე საუკუნეში აღმოსავლეთ ევროპაში არსებობდა ყაზახთა თავისუფალი რესპუბლიკები არჩეულ ატამანით სათავეში. ხალხის უფლება იყო როგორც არჩევა ატამანის ისე მისი გადაყენება. აქ ცხოვრება იყო თავისუფალი. ამავე დროს მოსკოვის დესპოტია სულს უხუთავდა მონათ ქცეულ ქვეშევრდომს. ვისაც კი შეეძლო, გაუბრბოდა მოსკოვის მონკბა და თავს აფარებდა თავისუფალ ყაზახს. მოსკოვი, ბუნებრივით, ვერ ურიგდებოდა ამ გარემობას და ყოველ დონეს დონობდა ყაზახობის როგორც თავისუფალი, დამოუკიდებელი ძალის მოსპობას. დიდი ბრძოლის შემდეგ ყაზახობა ძლიულ იქნა. მაგრამ ეს ყაზახობა დღეს იბრძვის აქტიურათ დაკარგულ თავისუფლების აღსადგენათ. მას აქვს საკუთარი ბეჭდვითი ორგანო «თავისუფალი ყაზახობა», რომელიც გამოდის მესამე წელიწადია პრაგაში. აქ ყველა წერილებს ასულდგმულებს ერთი და იგივე, — აღდგენა თავისუფალი, დამოუკიდებელი ყაზახიის. ბუნებრივით, ეს ორგანო დიდი სიმპატიით ეპყრობა, მოსკოვის მიერ, დაპყრობილ ერთა სეპარატისტულ მისწრაფებებს და მათში ყაზახობის ბუნებრივ მოკავშირეს და თანამგზავს ხედავს.

ქურნალი იმედინათ შეპყურებს მომავალს და გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ შორს არ არის ის დრო, როდესაც ბლომევიჩის ტირანია დაემხობა და დაჩაგრული ერები მოიპოვებენ თავისუფალ, დამოუკიდებელ ცხოვრებას.

კულტურულ კაცობრიობის მოვალეობაა, ამბობს ქურნალი, დაენმაროს დაჩაგრულ ერებს ამ უთანასწორო ბრძოლაში.

1924 წ. აჯანყების მივლენბა.

კვირას აგვისტოს 31-ს გაიმართა საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა საზოგადო კრება ბ. დ. სხირტლახის თავმჯდომარეობით, 1924 წ. აჯანყების მოსავონებლად. თავმჯდომარის სიტყვის შემდეგ ილაპარაკეს პარტიათა წარმომადგენლებმა, რომელთაც მოიგონეს აჯანყების ეპიზოდები, ხაზი გაუსვეს იმ ერთსულოვანებას, რომელიც გამოიჩინა მაშინ ქართველობამ, და მოუწოდებდნენ დამსწრეთ, რომ არასოდეს დაივიწყონ ეს ერთობა, რომელიც არის მტკიცე თავდები ჩვენი საბოლოო გამარჯვებისა.

ამგვარივე კრება გაიმართა პრაგაში იქ მყოფ ქართველების მიერ და გამოტანილ იქნა სათანადო რეზოლუცია, რომელსაც სამწუხაროთ უადგილობისა გამო ვერ ვბეჭდავთ.

დასაბეჭდი წერილები, დული და სხვა უნდა გამიღვანავნოხ შემდეგი მისამართით:

M-r O U R A T A D Z E  
10, rue Jules-Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.)  
France